ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

VII – IX (31)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №46 (1676) 30 ივნისი — 6 ივლისი. 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

# „არსებობს დღეს ქართველი ერი?!..“

ქართველ კაცს აქვს ამ საკითხის დასმის უფლება? როდესაც უცხოელები, არაქართველები ამბობენ ამა თუ იმ სახით იგივეს, ეს ქართველთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს. როგორ, ჩვენ სამიათასწლოვანი ისტორია გვაქვს, ჩვენმა წინაპრებმა რამდენი იომეს, რამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანეს საქართველოს, ქართველი ერის გადასარჩენად და დღეს ვისა აქვს უფლება ქართველი ერის არსებობის საკითხი ეჭვს ქვეშ დააყენოს. ცხადია, მე მესმის რომ „ქართველი ერი“ ათასწლეულთა განმავლობაში დამკვიდრებული წმინდა ცნებაა და დღეს მის არსებობა-არარსებობაზე ლაპარ-



მეათე გვერდი

აკი შეიძლება მკრეხელობად ჩამეთვალოს, მაგრამ როცა ჩვენს თვალწინ ბილწავენ, აუპატიურებენ ქართულ სალოცავებს, ქართულ მიწა-წყალს, როცა ამდენი ვილაპარაკეთ აფხაზეთში ქართველთა დაბრუნებაზე და ახლა გალიდანაც გამოგვყარეს, ხოლო ამ დროს ქართველთა უმრავლესობა ან აქ ერთობა სულელური უცხოური ტელესერიალებით და ფეხბურთით, ან უცხოეთში ეძებს კარგ ცხოვრებას, კეთილდღეობას და თითქმის არაფერი კეთდება, რათა მტერს საკადრისი პასუხი გავცეთ, შეიძლება კაცს მკრეხელური კითხვებიც აწვალებდეს. შემინდოს ღმერთმა და ჩვენი წინაპრების სულებმა!

## ვის ფქვილი, ვის ფურიანი ქამფეტი, ვის კიდევ მუშტი, ანუ იქნება კი 30 წელი ქვეყნის სათავეში მმართველი პარტია?





მესამე გვერდი



მე-3 გვერდი

პარლამენტის ლეგიტიმაცია არ უნდა მოხდეს, თუ პარლამენტში ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა არ იქნება წარმოდგენილი



მე-2 გვერდი

როდის ჩაუშვეს რუსებმა ტერორისტები: ტერაქტამდე თუ ტერაქტის შემდეგ?

31-ე ქარხანას გაყიდვას უპირებენ?...



მე-11 გვერდი

კომენტარი პრეზიდენტის ორშაბათის რადიო-ინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ პარტიათა და სხვა დემოკრატიულ პარტიათა

# განცხადება

ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე და სხვა დემოკრატიული პარტიები, საქართველოში ამ ბოლო ათი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესების უშუალო დაკვირვების და მათი ანალიზის საფუძველზე ვრაცხთ, რომ წარსულში კომპარტიის ცკ პირველი მდივანი, შემდეგ საქართველოს უკანონო ანუ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შექმნილი „სახელმწიფო საბჭოს“ თავმჯდომარე, შემდეგ – საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე, ამჟამად კი საქართველოს პრეზიდენტი, რომლის არჩევაც 1995 წელს ამ უკანსკნელ თანამდებობაზე საარჩევნო პროცედურის დიდი გაყალბების შედეგად მოხდა, ბატონი ედუარდ შევარდნაძე არის რუსეთის პირდაპირი და წინასწარგანმზრახველი მსახური, რომლის კურსი საქართველოში არის სახელმწიფოებრიობის შეგნებული საბოტირების, საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური ნგრევის კურსი რუსეთისადმი მისი დაქვემდებარების და როგორც ამიერკავკასიაში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში და მთლიანად რეგიონში რუსეთის ინტერესთა განხორციელების მიზნით. ჩვენს ამ ინტერპრეტაციასა და შეფასებას ვერ ცვლის აზერბაიჯანისა და ყაზახეთის დიდი ნავთობსადენის მარშრუტის განსაზღვრის თაობაზე რეალური და მოჩვენებითი დისკუსიების არსებობის ფაქტი. შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი კურსის ერთი ყველაზე კატასტროფულ ელემენტთაგანია ის, რომ იგი ცდილობს საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის დარღვევისთვის წანამძღვრების მომზადებას ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნისა და აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ჩამტარებელ ხროვასთან გარიგების გზით, რაც გამოიხატება, ჯერ ერთი, ამ ჯგუფის სიტყვიერ აღიარებაში „აფხაზეთის ხელმძღვანელობად“, და არა მხოლოდ ზემოხსენებული დანაშაულებრივი ჯგუფის ბელადებად, მეორეც, ამ ჯგუფის მიერ მართული აფხაზეთისათვის ისეთ ფართო უფლებამოსილებათა მინიჭების მცდელობაში, რაც ფაქტობრივად ამ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის შეწყვეტის ტოლფასია.

ამ ჩანაფიქრის რეალიზაცია ხდება თანდათანობით, – ჯერ შეიარაღებულ კონფლიქტთა და ომთა ორგანიზაციის, შემდეგ – ამ და მანამდე არსებულ ომთა და კონფლიქტთა ხელოვნური წაგების და ბოლოს – მის გამო შექმნილ გამოუვალ მდგომარეობათა საბაბით ურთიერთმიყოლებულ იურიდიულ დათმობათა განხორციელების გზით.

ჩვენ ეს ზემოხსენებული ნაბიჯები მიგვაჩნია შეუთავსებლად საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან და საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ საქართველოს მოქალაქეებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუქმებული იქნება როგორც ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ სახელით

გაგრძელება მე-2 გვ.

# როდის ჩაუშვეს რუსებმა ტერორისტები: ტერაქტის შემდეგ თუ ტერაქტამდე?

ტერაქტების მოწყობა, მათი გამოძიება და გახსნა პრესისთვის ყველაზე საინტერესო თემაა. სენსაციების სახით და სენსაციების ფონზე საზოგადოებისათვის მრავალი ინფორმაციისა და დეზინფორმაციის მოწოდებაა შესაძლებელი. ვერავინ იტყვის, რომ ყველაფერი, რაც იწერება, მართალია (ამას ბავშვიც კი არ დაიჯერებს), მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ ყველაფერი ტყუილია და ამიტომ არაფერი არ უნდა დაიბეჭდოს. საქმისთვის უმჯობესია, ყველაფერი დაიბეჭდოს, მაგრამ ამ მართლისა და ტყუილის ზღვაში მკითხველმა ჭეშმარიტების საძებრად საკუთარი კრიტიკული ჭკუაც დაასაქმოს.



ის, რომ 9 თებერვლის ტერაქტი მაღალი პროფესიონალიზმით იყო მოწყობილი, ძალიან ცოტას სჯერა. ვისაც არ სჯერა, იმას სათანადო საბუთებიც მოჰყავს. ის, რომ ესოდენ რთული საქმე თარგამაძის უწყებამ ორ დღეში „გახსნა“, კიდევ უფრო ნაკლებს სჯერა. საზოგადოებრივი აზრი ფაქტობრივად „შეთანხმებულია“ იმაზე, რომ აქტის ორგანიზატორები ჩრდილოელები არიან, და იმაზე, რომ მათ აბსტრაქტულად (ანუ მოქმედი პირებისა და სხვა დეტალების დაუსახელებლად) „ჩასჩურჩულეს“ ქართველ კოლეგებს, ვიღაცა რაღაცას გიპირებთო. ჩასჩურჩულეს რატომ? მეგობრობის დასამტკიცებლად? ამაზე ოფიციალური ვერსიები დუმან და საზოგადოების აზრსაც ეს კითხვა უპასუხოდ ურჩება, არის ასეთი ვერსიაც, რომ ტერაქტის ჩაფუშვისთანავე ჩრდილოელებმა ქართველ კოლეგებს ტერორისტთა ადგილსამყოფელი დაუსახელეს და ეს ვერსიაც საზოგადოებას სჯერა. რისთვის დაუსახელეს? იმისთვის, რომ შეპყრობილი ტერორისტებისგან ძიებამ მათი ჩრდილოელი დამკვეთები გაიგოს? რომ მათგან მხოლოდ ქართველი შუამავლების გვარები გაიგონ და ამის შედეგად სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ქართველებს შორის კიდევ ახალი დაპირისპირება მოხდეს? ეს ვერსიაც საზოგადოებრივმა აზრმა, შეიძლება ითქვას, სარწმუნოდ ჩათვალა. მაგრამ მოდის ახალ-ახალი ვერსიებიც (ძველთა დამატებით) და საზოგადოება ახალ-ახალი გამოცანების წინაშე დგება, მაგალითად, თანამდებობის პირთაგან... (რომელთაც არ ასახელებდნენ) ცნობილი ხდება, სად ამზადებენ ქართველ და არაქართველ ტერორისტებს ამ აქტისთვის ითქმის და იწერება, რომ გოჩა ესებუას დარჩა რუსეთთან კავშირის წერტილები (ტელეფონები) და რომ იგი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურმა მოკლა იმ მიზნით, რომ მან ეს კავშირები არ გათქვას. ეს ვერსიაც საზოგადოებრივ აზრს, ასე თუ ისე, დამაჯერებლად ესახება. უყოყმანოდ ემხრობა საზოგადოება, ცხადია, იმ აზრს, რომ მკვდარი ჩეჩენი ტერაქტის ადგილას სპეციალურად დააგდეს იმისთვის, რომ ყალბი კვალი ჩვენი მოძმისა და პოტენციური მოკავშირის — ჩეჩნეთის მიმართულებით წაიყვანონ, მაგრამ არის კიდევ სხვა ბუნებრივი საკითხები და საზოგადოების ინტერესებშია. ამ საკითხებზე ფაქტებიც ცნობილი იყოს და მათი გაანალიზებაც მოხდეს, მაგალითად, ვინ მოიყვანა ეს ჩეჩენი „ბოევიკი“ თბილისში — იგი თავის ფეხით გამოჰყვა ტერორისტთა ჯგუფს თუ შებორკილი მოიყვანეს ტერაქტის ადგილზე დაგდების მიზნით? თუ ნებით წამოჰყვა ტერორისტებს და სროლაში მოკვდა, ტყვია (ტყვიები), ალბათ, წინიდან მოჰყვებოდა და არა ზურგიდან. ხოლო თუ ზურგიდან დაახალეს ავტომატი (ლალატით), მაშინ იგი ისე დაეცემოდა, წინასწარ გაუთვლელი მდგომარეობით, როგორც ტყვიით განგმირული კაცი ეცემა, იმ შემთხვევაში, თუ იგი ჯგუფს თავის ფეხით კი არ წამოჰყვა, არამედ შებორკილი წამოიყვანეს სპეცსამსახურებმა, და თუ იგი ფეხზე მდგარი და ხელში ავტომატდაჭერილი ან ყუმბარმტყორცნდაჭერილი კი არ მოკლეს ზურგიდან, არამედ მიწაზე გააწვინეს წინდაწინვე პირქვე და მაშინღა ესროლეს ზურგში, როცა ეს სცენარმა მოითხოვა, დარჩებოდა იგი შემთხვევის ადგილზე ისე, რომ სხეული გამართული ექნებოდა და მკლავები — სხეულზე მიდებული. არის ვერსია (რადგან შემთხვევის ადგილას თვალის შევლება არაერთმა ადამიანმა მოასწრო), რომ ჩეჩენი სწორედ ასეთ მდგომარეობაში დარჩა.

ამგვარად, კითხვა დგება: თუ ის ჩეჩენი თავის ფეხით არ მოვიდა შემთხვევის ადგილზე ანუ ძალად იქნა მოყვანილი, ვინ მოიყვანა იგი? ქართველებმა, რომელთაც უამისოდაც ძნელი „ამოცანა“ ჰქონდათ? რუსებმა, რომელნიც, ცხადია, ისევე ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ ამ ოპერაციის დროს, როგორც ქართველი ტერორისტები? დასკვნა ერთია: იმას, ვინც ის ჩეჩენი მოიყვანა და დაწოლილს ზურგში ესროლა, არ ჰქონდა ადგილობრივი პოლიციისა და უშიშროების შიში. ხოლო თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მსროლელი ერთობლივ სცენარში „იჯდა“. ეს ფრიად უცნაური ვერსია მანამდე იტრიალებს საზოგადოებაში, სანამ იგი ან მკვდარი ჩეჩნის ადგილზე გადაღებულ სურათს არ იხილავს ან ოფიციალურად არ შეიტყობს ძიებისაგან, რომ ჩეჩენი ბოევიკი ფეხზე მდგომი მოკლეს და არა დაწვენილი.

ამას მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენა ქვეყანამ უნდა იცოდეს, ვისი სიკვდილ-სიცოცხლე როგორ ულირს ჩვენს მთავარ მოწინააღმდეგეს, რუსეთს, დღეს, ვის მოსასპობად უმიზნებს იგი, ვის — დასაშინებლად და ვის — ავტორიტეტის შესაქმნელად. ამის დროულმა ცოდნამ შეიძლება მრავალი შეცდომისგან დაგვიცვას.

მთიული

# ...უნდობლობას გამოვუცხადებ ცსკ-ს ხელმძღვანელობას, თუ...



**ა. წ. 26 ივნისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც ერთადერთი საკითხი იყო — ლაგოდეხის № 15 საარჩევნო ოლქში გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება. ცსკ-მ თავისივე დამტკიცებული ინსტრუქცია დაარღვია, რომელიც ითვალისწინებს საუბნო-საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე და ადგენს არჩევნების შედეგების საარჩევნო კომისიის ოქმს არჩევნებიდან 5 დღის შემდეგ, არაუგვიანეს მერვე დღისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ არჩევნების შეჯამება ცსკ-ში უნდა შემოსულიყო მხოლოდ 27 ივნისს, რის შემდეგაც უნდა დანიშნულიყო აღნიშნული სხდომა.**

**სოციალისტური პარტიის რწმუნებულებმა ცსკ-ში, ბ-ნმა შალვა რჩეულიშვილმა და ბ-მა დენის დავითაშვილმა, რომლებიც 21 ივნისს მივლინებულნი იყვნენ ლაგოდეხის ოლქში, 24 და 25 ივნისს შეიტანეს საჩივარ-განცხადება, რომელიც ეხებოდა სწორედ საოლქო კომისიის უკანონო ქმედებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მივმართეთ ცსკ-ს წევრს, ფრაქცია „მაჟორიტარ-სოციალისტის“ აპარატის უფროსს ბ-ნ დენის დავითაშვილს:**

— ცსკ-ს თავმჯდომარეს, ჯუმბერ ლომინაძეს 25 ივნისს ოფიციალური განცხადებით მივმართე, სადაც კიდევ ერთხელ დავაფიქსირე, რომ სხდომის დღის წესრიგში აღნიშნული საჩივრებისა და განცხადებების არ შეტანა იქნება კანონის დარღვევა. ამის პასუხად ჯ. ლომინაძემ და კომისიის ხელმძღვანელობამ სხდომა 26 ივნისისთვის გადადო, საოლქო კომისიის თავმჯდომარეს კი მიეცა სასწრაფო დავალება, ჩასულიყო ლაგოდეხში, შეეჯამებინა შედეგები და მიღებული ოქმი წარმოედგინა, რაც ელგუჯა ჭაბაშვილმა, ლაგოდეხის მე-15 საოლქო კომისიის თავმჯდომარემ კანონის დარღვევით შეასრულა — მან შედეგები შეაჯამა არა 5 დღის, არამედ 3 დღის შემდეგ. ცნობილია, რომ მან აქაც ვერ მიაღწია შედეგს, რადგან კომისიის 23 წევრთაგან იმ ოქმს ხელს აწერს 11 წევრი, მათ შორის ერთი არარსებული, დაშლილი ბლოკის „რეფორმატორთა კავშირის — ეროვნული თანხმობის“ წარმომადგენელი, მამუკა შუბლაძე, რომელსაც არანაირი უფლება არ ჰქონდა ამ პროცესზე დასწრებისა და მით უმეტეს, ხელის მოწერისა; ეს ბლოკი 10 ივნისიდან გამოცხადებულია დაშლილად.

იმ შემთხვევაში, თუ ცსკ-ს ხელმძღვანელობას ეყოფა წინდახედულება, კანონის დარღვევის შემდეგ აღიარებს, რომ მათ ეს შეცდომით მოუვიდათ, არ ვჩივივარ, ეს განზრახ იყო გაკეთებული თუ არა, მე შევცვლი ჩემს შეხედულებებს და ვიტყვი, რომ კომისიას შესწევს უნარი ჩაატაროს წელს, შემოდგომაზე ადგილობრივი არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში მე, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, უნდობლობას გამოვუცხადებ მის ხელმძღვანელობას.

— უნდობლობის საფუძვლად რას დაასახელებთ?

— საარჩევნო კანონის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს, რომ მას შემდეგ, რაც ცსკ შევსებული იქნება 23 წევრამდე, უნდა მოხდეს თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის არჩევა. სწორედ ამ საკითხს დავაყენებ მე, რომ ახლა არსებული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი თავისი კომპეტენციისა და ნეიტრალური პოზიციების გამოხატვის უუნარობის, კანონის დარღვევებში მათი თანამონაწილეობის გამო არ იქნენ გაყვანილი კომისიიდან, იმსჯელონ ცსკ-ს წევრებმა 23 კაცამდე შემადგენლობით. კენჭისყრა გადაწყვეტს, არიან თუ არა ისეთი წევრები, რომლებიც შეძლებენ მუშაობის წარმართვას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უკანონო ქმედებების დიდი წილი, რომელიც 21 ივნისს და მანამდეც იქნა დაშვებული, ეკისრება ცსკ-ს იურიდიული განყოფილების გამგეს, ლადო სანიკიძეს, რომლის მოქმედება პირდაპირ ამბობს: ჩემთვის საარჩევნო კანონი არ არსებობს, კანონი ვარ მე! ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, ფაქტი ჯიუტია — იურიდიულ განყოფილებას თვითონ არ უნდა დაეშვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რითაც დასრულდა 26 ივნისის კომისიის სხდომა, ისე კი მმართველ პარტიას უნდა ჰქონოდა ვაჟკაცობა, 7 ივნისის შედეგების მიხედვით, იმის მაგივრად, რომ შეეტანათ ბევრად ნაკლები რაოდენობის საჩივრები ორ უბანზე შედეგების ბათილად ცნობისათვის და ფაქტიურად გამარჯვებული ვალერი ბაქრაძისთვის ჩამოერთმიათ ხელი, მან გააგრძელა საშინელი გაყალბებისა და სხვა მეთოდებით ბრძოლა არჩევნებში გასამარჯვებლად.

— დავუშვათ, ცსკ-ს კანონი დაეცვა და 29-ში განეხილა შემოსული საჩივრები, მაშინ თუ ჰქონდა სოციალისტურ პარტიას შესაძლებლობა, რომ ცვლილებები შეეტანა შედეგებში?

— ღრმად ვარ დარწმუნებული, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რომ 26-ში განეხილა ყველა ის შემოსული საჩივარი, რომელიც საოლქო კომისიის არაკანონიერ ქმედებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს შეეხებოდა, სხვანაირად იქნებოდა საქმე. ეს იყო დაახლოებით 50 აქტი-საჩივარი-განცხადება. თუ 7 ივნისს გამართული პირველი ტურის შედეგად 24-ვე უბანზე ერთად შემოსული იყო დაახლოებით 20-მდე განცხადება-საჩივარი, 21 ივნისს ორ უბანზე სხვადასხვა ორგანიზატორების, დამკვირვებლებისა და კომისიის წევრების მიერ იყო დაფიქსირებული 50-მდე დარღვევა. არ დარჩა საარჩევნო კანონის არცერთი მუხლის არცერთი პუნქტი, რომელიც არ დაირღვა, ამიტომ მჯერა, რომ მათი განხილვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგება ან დავით კაპანაძის რეგისტრაციის, ან მე-15 საოლქო-საარჩევნო ოლქის შედეგების მთლიანად ბათილად ცნობის საკითხი.

ხათუნა ხატიაშვილი

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ პარტიათა და სხვა დემოკრატიულ პარტიათა

# განცხადება

*პირველი გვერდიდან*

შექმნილი ნებისმიერი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შეუთავსებელი ყველა სიახლე აფხაზეთის სტატუსში, რომელიც განსხვავდება საქართველოს 1921 წლის ან 1978-92 წლის კონსტიტუციებით დადგენილისაგან. რამდენადაც საქართველოს პარლამენტის უმრავლესობას დღეს შეადგენს პარტია „მოქალაქეთა კავშირი“, რომლის თავმჯდომარეა პრეზიდენტი შევარდნაძე, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ პარლამენტი ზემოხსენებულ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებში მხარს დაუჭერს პრეზიდენტს, მაგრამ ვაცხადებთ, რომ ასეთ შემთხვევაშიც ჩვენი გადაწყვეტილება და ჩვენი კურსი იგივე დარჩება.

არც პრეზიდენტობის კანდიდატ შევარდნაძეს, არც მის პარტიას „მოქალაქეთა კავშირს“ თავის საარჩევნო პროგრამაში არ ჰქონიათ აღნიშნული, რომ აპირებენ ცხინვალის ზონაში „ოსეთის“ შექმნას და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას საქართველოს ინტერესებთან შეუთავსებადი წესით. ეს გეგმა ასახავს, ერთის მხრივ, პრეზიდენტისა და პარლამენტის ნების უკანონო დაქვემდებარებას უცხო სახელმწიფოსადმი, მეორეს მხრივ, რეალურ ძალთა განლაგების არასწორ სურათს, შექმნილს საქართველოს ოკუპაციის ანუ საქართველოში რუსეთის ჯარების დგომის პირობებში. ამგვარად, არც პრეზიდენტს, არც პარლამენტს ზემოხსენებული ნაბიჯების გადასადგმელად ამომრჩევლის რწმუნება არა აქვთ.

მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ ეუთოს მისია საქართველოში ეწევა საქართველოს დისკრიმინაციას მისდამი ისეთი რეკომენდაციის მიცემით, სახელდობრ, ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის რეკომენდაციის მიცემით, რომელიც არ გამომდინარეობს საერთაშორისოდ მიღებულ უფლებადაცვით დოკუმენტებში ფიქსირებული არცერთი ნორმიდან. ამ დისკრიმინაციით იგი ოსი სეპარატისტების დანაშაულებრივი მოქმედების სტიმულირებას ახდენს.

ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა ყველა იმათ წინაშე, ვისაც ამ განცხადებით მივმართავთ, გამოვთქვათ ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც პერსპექტიულად და სამართლიანად მიგვაჩნია აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში არსებული კონფლიქტის დარეგულირება.

I. აფხაზეთი ვერ განიხილება როგორც აფსუა ხალხის (სხვათა ტერმინოლოგიაში — აფხაზი ხალხის) ეთნიკური ტერიტორია. იგი პირველ ყოვლისა ქართველების ეთნიკური ტერიტორიაა, მხოლოდ და მხოლოდ ქართული არქეოლოგიის მქონე და 1992-1998 წლების გენოციდამდე უპირატესად ქარველებით დასახლებული, სადაც თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური კუთვნილობის მოქალაქეები. აფსუა ხალხის ეროვნული თვითრეალიზაცია, მისი ყოველმხრივი თვითმდგომობა და მისი ეროვნული ვინაობის სამარადისოდ შენარჩუნებისა და დაცვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარანტიების შექმნა აფხაზეთის კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი კომპონენტი და მათი ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზანი უნდა იყოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს აფსუური ეთნოკრატიის დაკანონებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, არ ნიშნავს აფსუა ხალხისთვის და მისი წარმომადგენლობისთვის იმიგრაციული პროცესების ერთპიროვნული რეგულირების უფლების დაკანონებას აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიელი ხალხების, რუსების და უცხო ქვეყანათა სხვა მოქალაქეების შემოსახლების მიზნით.

II. ცხინვალის ზონაში მოსახლე 60 ათასი ოსის, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში მოსახლე კიდევ 100 ათასი ოსის, აგრეთვე საქართველოში მოსახლე ყველა სხვა არაადგილობრივი წარმოშობის ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკურ ეროვნულ ინტერესთა რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ფუნქციური ავტონომიის გზით (კულტურული ავტონომიის ჩათვლით), ერთის მხრივ, და რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული მექანიზმების. სრულმასშტაბიანი ამოქმედების გზით, მეორეს მხრივ. ამასთან (იგულისხმება), ოსურ ფუნქციურ ავტონომიას (ოსური ერთიანი ორგანიზაციის ან ორგანიზაციების სახით) თავისი რეზიდენციების დაარსების და თავისი კანონით გათვალისწინებული სიმბოლიკის გამოყენების უფლება ექნება ყველგან, ცხინვალის და მისი ზონის სხვა პუნქტების ჩათვლით.

**საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სახელით ნოდარ ნათაძე**

**საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტიის დამფუძნებელთა სახელით გ. გოგბაიძე**

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით თ. ჩხეიძე**

**სრულიად საქართველოს "წმიდა ილია მართლის" საზოგადოების სახელით ვ. ცაგარეიშვილი**

**საქართველოს ქრისტიანულ-კონსტიტუციური პარტიის სახელით შ. მალაშხია**

**ხალხთა მეგობრობის პარტიის სახელით: მ. ქობალია**

**ფუნქციური ავტონომიის გარდა ყველაფერში თანახმა ვარ. საქართველოს ნაციონალისტური პარტია ზ. ვაშაყმაძე**

**(ხელმოწერები გრძელდება)**

# დღეს საქართველოს მოსახლეობა მზად არ არის დემოკრატიული, თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების ჩასატარებლად

ისეთ პირობებში, როგორშიც დღეს საქართველოს საზოგადოება იმყოფება, ყოველ დონეზე ჩატარებული არჩევნები გამოიწვევს არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას, ერის კიდევ გახლეჩას და დანაწევრებას, შინაგანი დაძაბულობის გაზრდას, სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის დიდი ხნით შეჩერებას.

თუ გვინდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანა ავაშენოთ, და როგორც ყველგან ლაპარაკობენ და წერენ, ნამდვილად გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ არჩევნებთან თამაში არ შეიძლება. არჩევნები ხომ დემოკრატიული წარმომადგენლობითი ხელისუფლების ცენტრალური ინსტიტუტია.

თუ მომავალი არჩევნები, რა დონეზეც არ უნდა იყოს, სამართლიანად და პატიოსნად არ ჩატარდება, ქვეყანაში ბევრად უარესი მდგომარეობა შეიქმნება, ვიდრე დღეს არის.

ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა, ამ ეტაპზე არაა მიზანშეწონილი და არარეალურია.

ვთხოვთ ოპონენტებს, თუ ასეთები ბრძანდებიან, ნუ იჩქარებენ, ნუ აღელდებიან, სჯობია ერთმანეთს მოვუსმინოთ, მეტად დავფიქრდეთ, ვიმსჯელოთ და კარგად გავიაზროთ ყოველივე.

დღეს ჩვენთან თითქმის არაფერი კეთდება იმისათვის, რომ საზოგადოებამ, ელექტორატმა მეტი იცოდეს არჩევნების ინსტიტუტის შესახებ, რათა ელექტორატი თვითონ იყოს დაინტერესებული თავისუფალი, პატიოსანი არჩევნების ჩატარებაში.

საქართველოში დემოკრატიული ტრადიცია არ არსებობს. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა, შექმნილი მდგომარეობის გამო, დაბნეული, რწმენადაკარგული და არაორიენტირებულია. ელექტორატის პოლიტიკური განათლების და პოლიტიკური კულტურის დონე დაბალია. ელექტორატის უმრავლესობა სრულიად ვერ ერკვევა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მიმდინარე კონცეპტუალურ პროცესებში, რასაც უდაოდ ხელს უწყობს ისიც, რომ დღეს პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლეა. დღეისათვის იუსტიციის სამინისტროში ხომ 75 პარტიაა რეგისტრირებული და თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ განუწყვეტლივ (განმარტებების გარეშე) მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული, მემარცხენე-ცენტრისტული, მემარჯვენე-ცენტრისტული და სხვადასხვა დაჯგუფებებზეა ლაპარაკი, მე მგონი არ შევცდები, რომ შეუძლებელია ამ ეტაპზე, ელექტორატის მიერ ობიექტური, სიღრმისეული ანალიზის და სწორი არჩევანის გაკეთება, თუ ვის უნდა ანდოს თავის წარმომადგენლობა ადგილობრივ თუ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში.

ყველა დონის არჩევნებში გავლენას, ზეწოლას, მოსყიდვას და უპატიოსნო გარიგებებს აქვს ადგილი.

რა აჩვენეს ბოლოდროინდელმა პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატთა რუსთავის 1996 წლის ივნისისა და ლაგოდეხის 1998 წლის ივნისის არჩევნებმა?

აჩვენეს ის,

— რომ დღეს საქართველოში პოლიტიკა არის მხოლოდ ბრძოლა ხელისუფლებისათვის და არა საშუალება მეურნეობრიობის აღორძინების, ეროვნული თანხმობის და მშვიდობის მისაღწევად.

— რომ **დღეს არჩევნები საქართველოში არის ბრძოლის არენა ძალაუფლების დემონსტრირებისათვის და არამც და არამც პატიოსანი შეჯიბრი, თუ ვინ მოიპოვებს უფლებას, რათა ხალხს ემსახუროს.**

— რომ **არჩევნები დღეს საქართველოში ტარდება არადემოკრატიულად და მისი შედეგები გაყალბებულია.**

— რომ, ვინც რუსთავის არჩევნების გაყალბებაში აქტიურად მონაწილეობდა, იგივე ადამიანები აქტიურობდნენ ლაგოდეხის არჩევნებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლაგოდეხში არჩევნები უფრო მდიდრულად, მძაფრად და სანახაობრივად მიმდინარეობდა.



— რომ **დღეს საქართველოში არჩევნების ჩატარების პროცედურების კომპლექსში ქაოსია, ანუ უწესრიგობის უკიდურესი ფორმა.**

— რომ **ლაგოდეხში უკანა პლანზე გადაიწია ელექტორატის ორი მხარის ნებამ და არჩევნებში ერთმანეთს დაუპირისპირდა საქართველოში მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მფლობელი ორი ჯგუფი, რომლებიც ბატონობენ პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ანუ ოლიგარქია.**

უკვე თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ მათ შორის მმართველ პარტიას უნდა გაემარჯვა, რადგან მათი გავლენის — ძალაუფლების სფერო დღეს მეტია. ამით, მეორეს მხრივ, მმართველმა პარტიამ მერყევ პარტიებს გზა უჩვენა, თუ მომავალ არჩევნებში ვის გვერდით უნდა იდგნენ.

— **ლაგოდეხში არჩევნები ცემა-ტყეპის არენად იქცა, რომელიც ყოველ წუთში შეიძლება მასობრივი მსხვერპლით დამთავრებულიყო და დიდია ალბათობა, რომ მომავალ არჩევნებში, რა დონის არ უნდა იყოს იგი, საქართველოს ბევრ სოფელს, რაიონსა თუ ქალაქში სამოქალაქო ომისათვის სამზადისი დაიწყოს.**

მაგრამ ყველაზე დამაფიქრებელი და ტრაგიკული ის არის, რომ ეს იცის და ამას ხედავს ყველა: მთელი საზოგადოებრიობა, ყველა დონის საარჩევნო კომისიები, დეპუტატობის კანდიდატები, ადგილობრივი თუ რეგიონალური ხელმძღვანელობა, მათი აპარატი, პოლიტიკური პარტიების მთელი სპექტრი, ხელისუფლება და ყველა თითქოს თვალებს ხუჭავს, ყველა ეგუება, შეგნებულად თავს იტყუებენ „დემოკრატიულობანას“ თამაშით და უფრო მეტიც, ბევრიც ამაყობს შედეგით და თუ კი აქა-იქ ვინმე გამოხატავს უკმაყოფილებას ლაგოდეხის არჩევნების შედეგების გამო და ყვირიან ლაგოდეხში პატიოსანი არჩევნები არ ჩატარდაო, სად იყვნენ მაშინ, როდესაც ცოტათი ადრე, რუსთავში არჩევნების ტოტალური გაყალბება მოხდა? ხმა რატომ არ ამოიღეს? როგორ, საქართველოს მარტო ლაგოდეხში სჭირდება დემოკრატია და სამართლიანობა? რუსთავის არჩევნების შემდეგ სხვას რას ველოდით ლაგოდეხში?

სწორედ ამაშია ჩვენი უბედურება.

მიმაჩნია, რომ ასეთ პირობებში, სამწუხაროდ, არავინაა გამარჯვებული.

თუ ასე გაგრძელდება, მაშინ რას ველოდებით მომავალი ადგილობრივი თუ საპარლამენტო არჩევნებისაგან? გვინდა, რომ ისევ ასეთი არჩევნები ჩატარდეს? შედეგი რა იქნება?

აქედან დასკვნები ხომ უნდა გამოვიტანოთ, თუ მოვითხოვოთ ვადამდელი არჩევნები და ისევ ასე ჩავატაროთ? თუ მზად ვართ სხვაგვარად არჩევნების ჩატარებისთვის? სამწუხაროდ არა, არა ვართ დღეს მზად სხვაგვარად — დემოკრატიულად, თავისუფლად და პატიოსნად ჩავატაროთ არჩევნები.

მართალია, დემოკრატიული ტრადიციების დასამკვიდრებლად დიდი დროა საჭირო, მაგრამ ჩვენ დროულად და მაქსიმალურად ის უნდა გავაკეთოთ, რაც რეალურადაა შესაძლებელი.

არჩევნებისათვის უნდა მოვემზადოთ და ეს უნდა დავიწყოთ დაუყოვნებლივ.

აი, აქ არის საჭირო საზოგადოების წამყვანი ძალების ხმის ამაღლება, განგაშის ატეხვა, ზარების შემოკვრა.

საზოგადოების აქტიურობის გარეშე ქვეყანაში რაიმე დადებითი ძვრების მიღწევა ძალიან ძნელია.

დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელია იყოს ბალანსი: ხელისუფლება — საზოგადოება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოკრატიის მშენებლობის დროს ხელისუფლება, — ეს მხოლოდ ერთი ელემენტია ქვეყნის სოციალურ ქსოვილში მრავალ სხვადასხვა ინსტიტუტებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან ერთად. ბევრ ამ ორგანიზაციებს აქვთ საშუალება ხელისუფლებაზე ზემოქმედების და უფლება

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ვის ფქვილი, ვის ფოჩიანი კამფეტი, ვის კიდევ მუშტი, ანუ იქნება კი 30 წელი მმართველი პარტია ქვეყნის სათავეში?

ლაგოდეხში გამართულმა ცემა-ტყეპამ და მოქკავშირის თავგამოდებამ მუშტი-კრივის თანხლებით ერთი საპარლამენტო ადგილისთვის თვალსაჩინოდ გამოკვეთა ტენდენცია იმისა, რომ მმართველ პარტიად სახელდებული მოქალაქეები არც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დაიხევენ უკან და მილიონი სამუშაო ადგილის მათთვის ჩვეულ დაპირებებს საკუთარი თუ დაქირავებული (როგორც ეს ლაგოდეხში მოხდა) მუშტებით გაამაგრებენ.

მოვლენების შესაძლო განვითარების შესახებ ასეთი დასკვნის საფუძველს ლაგოდეხის არჩევნები ნამდვილად გვაძლევს. ვის ფქვილი, ვის ბრინჯი, ვის ფოჩიანი კამფეტი და ვის კიდევ მუშტი, — ვფიქრობთ, ასეთი იქნება ძირითადი არსენალი მოქკავშირელებისა მომავალ არჩევნებში და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივი გამგებლებისა და ძალისმიერ სტრუქტურათა ხელმძღვანელების დიდი უმრავლესობა ე. წ. მმართველი პარტიის წევრები, ანუ მოქალაქეები არიან, მაშინ საფიქრებელია, რომ მოქკავშირი, რომელსაც ხალხში „მონკავშირსაც“ უწოდებენ, საფუძვლიანად გაიბრძოლებს პარლამენტში კვლავ უმრავლესობის მოპოვება-შენარჩუნებისათვის. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათს ამ გაბრძოლებას ჩვეული რიხი მოაკლდება და თუ რატომ, ამასაც მოგახსენებთ. მმართველ პარტიად მონათლულ მოქალაქეთა ამ ნაკრებს ხალხის, ანუ ამომრჩევლის წინაშე ბევრი თავის გამამართლებელი საბუთის წარდგენა დასჭირდება დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, გალის ტრაგედიის, დანგრეული ეკონომიკის, დაქცეული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მასობრივი უმუშევრობის, უძირო კორუფციისა და სხვა საშინელებათა გამო, რაც მათს მმართველობას ახლავს თან. უდავოა, გარდა დემაგოგიური დაპირებასაუბრებისა, ხალხის მიერ წაყენებულ ბრალდებებს მოქალაქეთა ეს ფრიად „საჩინო“ კრებული ვერაფერს დაუპირისპირებს. დემაგოგია კი, მოგეხსენებათ, უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხალხი, ანუ ამომრჩეველი, უკვე უტყუარად მიხვდება, (ანუ მიხვედრილიცაა) ვინ არის დემაგოგი, ვინ პატიოსანი პოლიტიკოსი და ვინ რას აკეთებს.




საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს პრეზიდენტი საკუთარი პარტიის მიმართ? თუ ბატონი ედუარდი მისთვის ჩვეული მეთოდებით იმოქმედებს (და სავარაუდოდ, ეს ასეც იქნება!), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ყველა ცოდვა-მადლს სწორედაც რომ მმართველ პარტიას მოკითხავს და განტევების ვაცად აქცევს მას. ეს, შესაძლოა, სულაც არჩევნებამდე მოხდეს. პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ამას საკუთარი იმიჯის შესალამაზებლად გააკეთებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ შემთხვევაში „ორთქლმავალის“ გარეშე დარჩენილ მოქალაქეებს პარლამენტში მოხვედრის ძალზე მცირე შანსი დარჩებათ.

სხვა საკითხია და სხვა თემაა, თუ ვის დაიყენებს (ანუ რომელ პოლიტიკურ ძალასა თუ ძალებს) გვერდით პრეზიდენტი მომავალ არჩევნებში, მაგრამ ერთი რამ აქედანვე ცხადად იკვეთება: პრეზიდენტი მოქკავშირს, ანუ მხოლოდ მოქკავშირს ნამდვილად არ დაეყრდნობა და შეეცდება სხვადასხვა შეფერილობის და მრწამსის პოლიტიკური ალიანსის შექმნას, თუმცა ეს უფრო ახლო მომავლის საქმეა და დღეს ამაზე საუბარი მხოლოდ ვარაუდებითლაა შესაძლებელი.

ეს, ასე ვთქვათ, რაც შეეხება მომავალს. მივუბრუნდეთ აწმყოსა და მმართველ პარტიას და დავსვათ ასეთი კითხვა: რა გააკეთა ქვეყნისთვის მოქკავშირმა და რას აკეთებს დღეს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: საქართველო რომ ნორმალური, ანუ ცივილური ქვეყანა ყოფილიყო და წინა არჩევნები სამართლიანად ჩატარებულიყო, მაშინ პარტია (ვგულისხმობ ყოფილ მწვანეებს, ანუ მოქალაქეთა ძირითად ბირთვს), რომელსაც თავის დროზე ხაზინიდან 102 მილიარდი კუპონის გატანა ედებოდა ბრალად (გაზეთის რედაქცია შეეცდება მოიპოვოს მასალები და მკითხველს სრული ინფორმაცია მიაწოდოს ამის შესახებ), ის არათუ მმართველ პარტიად უნდა ჩამოყალიბებულიყო, არამედ პარლამენტშიც არ უნდა მოხვედრილიყო.

რადგან დღევანდელი საქართველო, მიუხედავად მმართველი პარტიის განცხადებებისა დემოკრატიის აშენების შესახ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

პრეზიდენტ შევარდნაძის 22 ივნისის რადიოინტერვიუს იმ ნაწილის კომენტირება, რომელიც ეხება აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემებს, ვთხოვეთ ბატონ ნოდარ ნათაძეს. დანარჩენი ნაწილის კომენტარს ვბეჭდავთ ჩვეულებრივი წესით.

## ხელისუფლების პოლიტიკა მარაზმშია

მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკამ აფხაზეთისა და ცხინვალის ზონის საკითხში უკვე მიაღწია უპასუხისმგებლობისა და შეგნებული სიცრუის იმ ზღვარს, რომლის იქითაც მას „პოლიტიკა" ველარც ეთქმის. ეს პოლიტიკა კი არაა, არამედ, ყველა განზომილებით, ჩიხში მოქცეულ ხელისუფალთა უბადრუკი კონვულსიაა, რომელნიც მოსახლეობის კიდევ ერთხელ მოკლე დროით მოტყუებასა და მისი აღშფოთების კიდევ ერთხელ ყალბი მიმართულებით წაყვანას ცდილობენ. მხედველობაში მაქვს ის, რომ

ა) მოლაპარაკებები, რომლებიც მიმდინარეობს, **ფარულია.** რაზე აწერს ხელს პრეზიდენტი და მისი უძლური და უპასუხისმგებლო გუნდი, ჩვენ არ ვიცით.

ბ) მოლაპარაკებები მიმდინარეობს **მტრის შუამავლობით.** როგორც აფსუა სეპარატისტების ხროვასთან, ისე ჩიბიროვსა და პრეზიდენტ ძასოხოვთან მოლაპარაკებაში არბიტრადაა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში არაერთხელ უკვე მხილებული რუსეთი, რომელიც წარმოდგენილია არაერთხელ უკვე მხილებული „მტკიცე" იმპერიალისტის პასტუხოვის და ახალი კომერსანტ-დიპლომატის, საქართველოს ინტერესებთან არანაირად არდაკავშირებული ბერეზოვსკის სახით. საქართველოს ხელისუფლების ამ პოლიტიკის ერთადერთი მართებული დახასიათება, მე მგონი, ისაა, რაც ამას წინათ საჯაროდ მოვისმინეთ ერთი დარბაისელი ცხინვალელი ქართველი კაცისაგან, რომლის სახლში დღეს სეპარატისტი ბანდიტები თარეშობენ. მან თქვა: „სახედარსაც კი სწავლის უნარი აქვს. სადაც ერთხელ ფეხი იტკინა, იქ მეორედ ვერ მიიყვან, რაც გინდა სახრე ურტყა. საქართველოს ხელისუფლებას რა ჭირს იმისთანა, რომ ერთი და იგივე მოწინააღმდეგის ერთსა და იმავე ტყუილზე ასჯერ ზედიზედ ეგებიანო".

გ) მოლაპარაკებებზე კეთდება უპასუხო ან უკომპენსაციო დათმობები, რომლებიც ხალხს მიეწოდება შევარდნაძისა და მისი დიპლომატების „მიღწევების" მარკით. ფსოუს საზღვრის დებლოკირება არძინბასთვის **მოგებაა,** ხოლო აფხაზეთში მატარებლების გამოტარება (თუ ამაზეც შეთანხმდნენ) რუსეთისთვის ისტორიული მასშტაბის **გამარჯვებაა,** ხოლო საქართველოსთვის, შესაბამისად, ისტორიული მასშტაბის **მარცხი,** რადგან რუსეთზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალება საქართველოს ხელში დღეს ისაა, რომ საქართველოს შეუძლია მას მისი სამხედრო ტვირთების შეფერხებით დაემუქროს. ამ საშუალების ხელიდან გაშვება აფხაზეთის გასაღების მთლიანად რუსეთისათვის გადაცემის ტოლფასია.

შევარდნაძის მსჯელობა არძინბას გულის მოლბობაზე, რომელსაც ქვემოთ მოვიყვან, ან სრული ცინიზმია როგორც მსხვერპლთა და მათ ჭირისუფალთა, ისე მთელი ქართველი ერის მიმართ, ან შერაცხადობის საზღვრებიდან გასული გულუბრყვილობაა. პრეზიდენტი ამბობს:

**„აქვე, მინდა ერთი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ. ვლადისლავ არძინბასთან უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე ვისაუბრე ტელეფონით და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მეორე მხარეც განიცდის იმას, რაც მაისში მოხდა. არც შეიძლება, რომ ნორმალური ადამიანი არ განიცდიდეს ამას. მან ასე თქვა პირდაპირ, რომ შემზარავს ხოლმე, რასაც მეუბნებიან: ენგურის მეორე მხარეს დგანან ადამიანები, ასობით და ათასობით, უყურებენ თავიანთ სახლებსა და კარ-მიდამოს, ზოგი იწვის, ზოგი-გადარჩა, იქა აქვთ ქონება და ასე შემდეგ. ასეთი საუბარი, უნდა ითქვას, ჩვენ შორის აქამდე არ ყოფილა".**

ამ ციტატის შუქზე მკაფიოდ იკვეთება პრეზიდენტ შევარდნაძის ის პოლიტიკა გალელ ლტოლვილთა საკითხში, რომელსაც იგი, ეტყობა, მყარად დაადგა, რადგან რუსეთისადმი მორჩილების კურსი მას სხვა არანაირ არჩევანს არ უტოვებს. სახელდობრ: არ მოუშვას ლტოლვილები თბილისში, სადაც მათ შეიძლება ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვონ (მოგეხსენებათ, ზუგდიდის ზონიდან თბილისისაკენ მათი გადაადგილება შეზღუდულია), არამედ შეუშვან კვლავ გალში, სადაც არძინბას ხროვები ბატონობენ, და კიდევ ერთი მასობრივი ხოცვისთვის გაწირონ (ნუ დაგვავიწყდება, რომ 1993 წლიდან, როცა საბრძოლო მოქმედება დამთავრდა, აფსუებმა და მათმა დამხმარეებმა ამ ზონაში 1500 ადამიანზე მეტი მოკლეს, ანუ მთელი ძველი მოსახლეობის ორი პროცენტი). ეს რაც შეეხება აფხაზეთს. არანაკლებ ყალბია შევარდნაძის პოლიტიკა ცხინვალის საკითხშიც, რაც მას აიძულებს, მაგალითად, მსმენელის წინაშე წარსდგეს აშკარა დეზინფორმაციით, თითქოს ცხინვალსა და მის გარეუბნებში უკვე დაბრუნდა ასობით ქართული ოჯახი (სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არცერთი ქართული ოჯახი იქ არ დაბრუნებულა). როგორც ჭეშმარიტსა და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში განათლების დეფიციტიან პროვინციელს, საქართველოს პრეზიდენტს დავათა გადაწყვეტის საკუთარი „კლასიკური" მეთოდის შექმნა აქვს ოცნებად, მაგრამ სინამდვილეში მისი პირადი წვლილი ამ საქმეში სხვა ვერა არის რა, თუ არა კომკავშირული „ინტერნაციონალიზმის" ინერცია, რომელიც ყველა პრობლემის გადაჭრას საქართველოს ეროვნულ ინტერესთა ჩაქოლვით ცდილობდა და ცდილობს. აი, რას ამბობს საქართველოს პრეზიდენტი:

**„იმასაც ვიტყვი, რომ სწორედ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგება, მოგვარება შეიძლება გახდეს ჩვენს დროში პოლიტიკურ მოღვაწეთა ძალისხმევისა და მათი კეთილი ნების შესაბამისად კონფლიქტის დაძლევის, ხალხთა, ადამიანთა შერიგების კლასიკური მაგალითი."**




და აი, რა არის მისი ამ პოლიტიკური „შემოქმედების" რეალური შედეგი, თუკი განზრახვა გაუვიდა და თავის „მონკავშირულ" საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად ცხინვალის ზონაში მართლაც „ოსეთი" შექმნა.

**პირველი** — 600 ათასიანი ოსი ხალხის წინაშე დგება საქართველოსგან ამ მიწის წაგლეჯის ზოგადეროვნული ამოცანა (აკი შესთხოვეს კიდეც მას ოსმა ჟურნალისტებმა: „ორი გერმანია ხომ გააერთიანეო, მოდით, ორი ოსეთიც გააერთიანეთო").

**მეორე.** საქართველოში სხვა ადგილობრივი უმრავლესობებიც მოითხოვენ რამდენიმე ახალი „ქვეყნის" შექმნას.

**მესამე.** ამ ორი პერსპექტივის შედეგად ან საქართველოს ისტორია, როგორც სახელმწიფოსი, მთავრდება ან ქართველი ერი მრავალწლიან სისხლიან ბრძოლაში ებმება დღევანდელ მოღალატე ხელისუფალთა მიერ დათმობილი პოზიციების დასაბრუნებლად.

საქართველოს ერთგულ ხელისუფალს შეუძლია ამ მიმართულებით ყოველგვარი ზეწოლა აღკვეთოს — როგორც რუსეთის მხრიდან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, — იმ მოტივით, რომ

ა) ცხინვალის ზონის საკითხი საქართველოს შინაგანი საკითხია.

ბ) არ არსებობს ნორმა, რომელიც ამბობდეს, რომ ადგილობრივ ეროვნულ უმრავლესობას ტერიტორიული ავტონომია მიეცეს, მითუმეტეს — ამ ტერიტორიას მისი სახელი დაერქვას.

გ) დემოგრაფიული დინამიკის მიხედვით (ანუ იმის მიხედვით, რომელი ეთნიკური ჯგუფი როგორ მრავლდება) ტერიტორიული ავტონომიების შექმნის პრეცედენტი მსოფლიოს შეუქმნის იმის პირობებს, რომ სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა ხელი შეუშალონ ერთმანეთის დემოგრაფიულ კეთილდღეობას, რაც ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ობიექტურ წანამძღვრებს წარმოადგენს.

შევარდნაძის განცხადება ამავე ინტერვიუში:

**„ეს ხომ პოლიტიკად ჩამოყალიბდა: გავაძევოთ ოსები საქართველოდან. და არ შეიძლება არ დავისჯილიყავით, იმ პოლიტიკისათვის, რომელიც მაშინ ხორციელდებოდა საქართველოში. სამწუხაროდ, ჩვენც დავისაჯეთ და ოსებიც"...**

არის **ცილისწამება** საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ. ხოლო ამ ხელმოცარული პოლიტიკოსის სინანული, საქართველოს უზენაესმა საბჭომ რატომ გააუქმა 1922 წელს შექმნილი „სამხრეთ ოსეთის აო", უბრალო იურიდიულ არცოდნას ემყარება. საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას **არ ჰქონდა უფლება** იგი არ გაეუქმებინა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მის მიერ ამ ტერიტორიული დივერსიის დაკანონებას ნიშნავდა, რომელიც ოკუპანტებმა განახორციელეს 1922 წელს.

რეალური პროცესი ცხინვალის ზონაში დღეს შემდეგია: ქართველი ლტოლვილები იქ ვერ ბრუნდებიან. ვლადიკავკაზში მყოფი ოსები კი წერენ განცხადებას საერთაშორისო ორგანიზაციის სახელზე, რომ ცხინვალის ზონაში („სამხრეთ ოსეთში") „დაბრუნება" სურთ. ეს ორგანიზაცია მათ სახლებს უშენებს. ასეთი ოპერაციის მსურველი, რა თქმა უნდა, ბევრია იმათ შორისაც, ვისაც საქართველო თვალით არ უნახავს. ამგვარად, ხდება ცხინვალის ზონის ახალი **კოლონიზაცია** უცხო ეთნიკური ელემენტის მიერ.

მოვლენებმა უკვე დიდი ხანია ნათლად დაამტკიცა, რომ საქართველოს ხსნისათვის აუცილებელია საქართველოს სახელმწიფო საჭეს დღევანდელი მოღალატე ხელისუფალნი მოსცილდნენ უმოკლეს ვადაში, რაც კი შესაძლებელია ქვეყანაში ქაოსის შეუქმნელად და კანონიერების დაურღვევლად. მანამდე კი აუცილებელია საყოველთაო ხელმოწერების შეგროვებით უნდობლობის გამოცხადება ამ ხელისუფლებისა და მისი მოღალატური კურსის მიმართ როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის საკითხში, რათა ამით გაადვილდეს მათ მიერ ხელმოწერილი მოღალატური შეთანხმებების გაუქმება მომავალში.

**ნ. ნათაძე**

## ჩვენი მორიგი კომენტარი

### (საქართველოს პრეზიდენტის 22 ივნისის რადიოინტერვიუზე)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ რაც დრო გადის, პრეზიდენტის ინტერვიუებში წარმოდგენილი მსჯელობა ეკონომიკის საკითხებზე უფრო და უფრო შორდება ნამდვილ პრობლემებს და უფრო და უფრო იხლართება ან კერძო მეორეხარისხოვანი საკითხების, ან, პირიქით, ზოგადი დაუკონკრეტებელი განცხადებების, ან ფაქტებით შეუმაგრებელი ოცნებების ბადეში. ამჯერადაც ინტერვიუში ამავე ტენდენციას ვხედავთ.

მივყვეთ თავიდან. პრეზიდენტი სიხარულით ბრძანებს, რომ მიღებულია 400 ათასი დოლარის გრანტი საქართველოში ტურიზმის განვითარების კონცეფციის შესამუშავებლად (მიაქციეთ ყურადღება: მხოლოდ კონცეფციის შესამუშავებლად და არა ობიექტების შესაქმნელად) და ეს კონცეფცია შემუშავდება (ანუ გონებრივი სამუშაო შესრულდება) არა ქართულ, არამედ უცხო კომპანიის მიერ, ანუ საქმე წავა ისე, როგორც ისეთ ქვეყანაში, რომელსაც გონებრივი პოტენციალი საერთოდ არ გააჩნია და ამ პოტენციალისათვის დასაქმების ადგილებს არ ეძებს. შეიქმნება (საბოლოო ანგარიშში) სასტუმროთა ქსელი ფასების საერთაშორისო დონით, რომელსაც, რასაკვირველია, საქართველოს მოქალაქე ვერ გამოიყენებს (გარდა მაფიურ-ბიუროკრატიული ვიწრო წრისა) და რომელშიც საქართველოს მოქალაქენი მხოლოდ უპერსპექტივო მიმართულებით, სახელდობრ, **განათლების არმომთხოვნი** ე. წ. „ლაქური" მომსახურების მიმართულებით იქნებიან დასაქმებულნი. პრეზიდენტი რომ ამ პერსპექტივას არ მალავს, კარგია, მაგრამ მისი სოციოლოგიური (და, მაშასადამე, აგრეთვე, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური) აზრის მოუმწიფებლობაზე მეტყველებს ის, რომ იგი ამას არა ტრაგიკულ, არამედ, პირუკუ, სასიხარულო პერსპექტივათა რიცხვში ასახელებს.

გავყვეთ ტექსტს. პრეზიდენტი ლაპარაკობს მთავრობის სტრუქტურის შეცვლის გეგმაზე, რომელიც, ცხადია, კვლავ მინისტრთა კაბინეტის შექმნას გულისხმობს. ამ რადიკალურ სიახლეს შეიძლება ორნაირი განზრახვა ედოს საფუძვლად და, შესაბამისად, ორი სხვადასხვა შედეგი ჰქონდეს: ან კარგი ან ავი. კარგი განზრახვაა ის, თუ პრეზიდენტი ფიქრობს, რაკი მე და ჩემმა ადმინისტრაციამ თავი ვერ გავართვით ქვეყნის მართვის ამოცანას, მოდით, ახალი ქმედითი მთავრობა შევქმნათ, რათა ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით, მან გააკეთოს და ჩვენი ფუნქციები ნელ-ნელა მას უმტკივნეულოდ გადავულოცოთო. თუ პრეზიდენტი მართლაც ამას ფიქრობს, იგი რასაკვირველია, ქების ღირსია. ავი ვარიანტი ამ სიახლისა კი ის გახლავთ, თუ პრეზიდენტი ფიქრობს, საქმის გამომსწორებელი მაინც არა ვარ და მოდი შედარებით დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას გამოვაცხადებ, რათა არჩევნების წინ ყველა მარცხი მას შევაწეროო. დასამალი არაა, რომ საზოგადოებრივი აზრი ამ მეორე ვარიანტს უფრო ბუნებრივად და მოსალოდნელად თვლის. ხსენებულ პროექტს კიდევ ერთი მინუსი ახლავს, რომელიც ავტორთა იურიდიული მომზადების ნაკლებობაზე მეტყველებს (და არა მხოლოდ სახელმწიფოებრივისაზე). პრეზიდენტი ამბობს:

**„ახალმა სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ამასთანავე სახელმწიფო მართვის პროცესში ავტონომიური წარმონაქმნების, რეგიონების, ეროვნული უმცირესობების, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ინტერესების უფრო სრულად გათვალისწინება. დღეს უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამაზე — უფრო მრავალფეროვანი იყოს წარმომადგენლობა ხელისუფლებაში".**

ციტირებული სიტყვები რომ გავშიფროთ, პრეზიდენტი აპირებს გავლენისა და მსუქანი ლუკმისათვის მებრძოლ ყველა „სუბიექტს" — პარტიები იქნებიან ეს თუ ეთნიკური და სხვა **ჯგუფები** — თავთავისი „სარჩო" მიართვას, მაგრამ აზრად არ მოსდის არც ის, რომ ასე შეკოწიწებული მთავრობა საქმეს ვერ გააკეთებს, და არც ის, რომ **წარმომადგენლობა** მხოლოდ არჩევითი ორგანოების თვისებაა (ამიტომაც ეწოდებათ მათ „წარმომადგენლობითი ორგანოები") და არა აღმასრულებელი გუნდისა, როგორიცაა მთავრობა!

გავყვეთ კიდევ ქვემოთ. საქართველოში რომ ნავთი და გაზი არის, ეს მართლაც სასიხარულოა (თუმცა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის დამსახურება არაა). პრობლემა იწყება მხოლოდ ამის შემდეგ და იგი მდგომარეობს უცხოელებთან თანამშრომლობის იმ ოპტიმალური ფორმების გამონახვაში, როცა ჩვენი ქვეყნის შემოსავალი მაქსიმალური იქნება, სტრატეგიული ინტერესი — რეალიზებული, მოსახლეობა — დასაქმებული და, რაც მთავარია, ამ დასაქმებული მოსახლეობის კვალიფიკაციური და ტექნოლოგიური დონე ზრდის გზაზე იქნება დამდგარი. ამ თემაზე პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, დუმს.

კიდევ უფრო ქვემოთ, „თელასის" პრივატიზაციაზე საუბრისას, მას ავიწყდება, რომ მონოპოლიური მაფიების ხელში მყოფ სახელმწიფოს, როგორიცაა დღეს საქართველო, ისეთი საგნების პრივატიზაციის უფლება, როგორიცაა ჰაერი, წყალი, ელმომარაგების ერთადერთი არსებული სისტემა და ა. შ., არა აქვს და არც პრეზიდენტს აქვს უფლება, მისივე წყალობით გაღატაკების უკანასკნელ ზომამდე მისულ მოსახლეობას პრივატიზებული „თელასის" სახელით ემუქრებოდეს, **„პრივატიზებული თელასი ენერგიას უფასოდ არავის მიაწოდისო".**

ამის შემდგომ კლასიკურ ნაწყვეტში, რომელსაც ახლა მოვიყვანთ, ლათინური ტერმინოლოგია ვერ მალავს და ვერ ნიღბავს იმ ფაქტს, რომ საკუთარი უუნარობითა და უპატიოსნებით პარალიზებული ჩვენი დღევანდელი ადმინისტრაცია მსოფლიოში დღეს ერთ-ერთ ყველაზე არაპოპულარულ ცოდვას სჩადის-უსასყიდლოდ მიღებულ ჰუმანიტარულ დახმარებას ჰყიდის. პრეზიდენტი ამბობს:

**„სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ნება დაერთო (ეს ბაკურ გულუას წინადადებაა), იტალიის მთავრობის მიერ ჰუმანიტარული დახმარებით მოწოდებული სურსათის მონეტიზაციით მიღებული თანხით შეიძინოს 50 ტონა მაკარონი, ზოგიერთი სხვა პროდუქტი და, ცხადია, უფასოდ დაურიგოს დევნილებს".**

„მონეტიზაცია" არც მეტი, არც ნაკლები, ფულად ქცევაა ანუ გაყიდვაა. კითხვა იბადება: რად უნდა იმ ჰუმანიტარულ ტვირთებს „მონეტიზაცია" ანუ გაყიდვა ბატონ ბაკურ გულუას მადლიანი ხელით, თუკი შესაძლებელია ისინი პირდაპირ ლტოლვილებს ხელიდან ხელში დავურიგოთ?

რას ნიშნავს „განვითარების კრედიტი" კულტურის სფეროში, რომელზედაც პრეზიდენტი ლაპარაკობს? იმას, რომ ამ „კრედიტს" ვიღაცა ჩაიჯიბებს და სახელმწიფოს ახალი ვალი დაედება? იმას, რომ ჩვენი მუზეუმების ფონდებიც „ტექნიკურად" დაგირავდება და გაიყიდება ვიღაცის სასარგებლოდ? მწარე გამოცდილებით დატვირთული რადიომსმენელი რომ ამ ეჭვებს ვერ გაექცევა, აშკარაა. ამიტომ პრეზიდენტის ამ განცხადებას უსათუოდ თან უნდა ახლდეს დაკონკრეტება, თუ რისთვის დასჭირდა ჩვენს კულტურას კრედიტი, ვინ მოიხმარს მას და ფინანსური უსაფრთხოების რა გარანტიებით.

როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ ჩვენ **„სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ურთულესი ეტაპები გავიარეთ".** ეს ჭეშმარიტებასთან 180 გრადუსით დაპირისპირებული თეზისი გახლავთ პირიქით, ჩვენ 1992 წლის დამდეგიდან დღემდე სახელმწიფოებრიობას ხან ნგრევის, ხან საბოტირების ურთულესი ეტაპები განვვლეთ (მხოლოდ პრეზიდენტის მიერ დანიშნული ნადიბაიძის ეპოპეა რად ღირს!). ათობით და ასობით მილიონების არცერთი მომპარავი რომ დღემდე არ დასჯილა და დღევანდელი პრეზიდენტის ხელში არც დაისჯება (რადგან ისინი მისი პოლიტიკური არმიის „ოქროს ფონდი" არიან), ეს სავსებით საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ დღეს საჭესთან მყოფი ადმინისტრაციის ხელში საქართველოში სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პერსპექტივა არ არსებობს. ქურდების მიერ სახელმწიფოს დატაცების წინააღმდეგ ხომ ბრძოლის სამადსამი გზაა ცნობილი: ერთია ე. წ. „ჯოხის" დისციპლინა. მას, როგორც უკვე ვთქვით, შევარდნაძე ვერასოდეს ვერ მიმართავს. მეორეა ე. წ. იდეოლოგიის დისციპლინა: სახელმწიფოს აქვს ღიად გამოცხადებული მიზანი, რომელიც მოსაპარავ მილიონებზე მაღლა დგას, და თავის სამსახურში იგი მხოლოდ იმ ადამიანებს აყენებს, ვისაც ატყობს, რომ ეს მიზანი მათთვის რეალობაა. შევარდნაძე სახელმწიფოში იდეოლოგიას უარყოფს და, ამგვარად, მის ხელთ ეს იარაღიც უქმია. მესამე და მთავარი არის ეკონომიკური ცხოვრების ისეთი ფორმის განსაზღვრა კანონმდებლობითი წესით, რომელშიც თვით ბუნების კანონები აიძულებს ადამიანს შრომაზე აიღოს ორიენტაცია და არა ქურდობაზე, რადგან პირველი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მეორე. ორგანიზებულ სახელმწიფოში სამივე ეს ფაქტორი მოქმედებს, შევარდნაძის ადმინისტრაციაში — არც ერთი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მის ხელში ეკონომიკის გაჯანსაღება **არასოდეს** არ მოხდება და მის ინტერვიუებშიც **ვერასოდეს** ნახავთ მსჯელობას იმაზე, თუ როგორ გადაიხდის საქართველო თავის საგარეო ვალს, რომელმაც უკვე 2300 მილიონი დოლარი შეადგინა, როგორ ამუშავდება საქართველოში მრეწველობა ან როგორ შემოვა ე. წ. მზის შუქში ანუ დაბეგრილ სფეროში ეკონომიკური ცხოვრების ის 90-პროცენტი, რომელიც დღეს „ჩრდილში" დგას.

**შემატკივარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი-ეკონომიკა და პოლიტიკა, ანუ ქართველებო, ნუღარ ვითამაშებთ ომობანას!

ბრძნული ნათქვამია — თუ მშვიდობა გინდა, ემზადე ომისათვისო; რადგან ომისათვის მზადება ნიშნავს, ერთის მხრივ, მშვიდობის შენარჩუნებას, მეორეს მხრივ, ეკონომიკის განვითარებას გლობალურად.

ყოველ ომს ძირითადში ორი რამ წარმართავს და ასულდგმულებს, ესენია — ეკონომიკა და იდეოლოგია.

თუ ეკონომიკა არა გაქვს, ვერ იომებ, მაგრამ თუ არ იცი, რისთვის ომობ, მაშინაც განწირული ხარ დამარცხებისათვის.

რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთისათვის ჩვენ არც ერთი აღმოგვაჩნდა და არც მეორე.

ანბანური ჭეშმარიტებაა — ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას, თუმცა საბჭოთა პერიოდში ბევრი ამას ეჭვის ქვეშ აყენებდა, მაგრამ ამერიკულმა ეკონომიკამ (რასაკვირველია, პოლიტიკასთან ერთად) დაასამარა ნაქები საბჭოთა პოლიტიკა და გვიჩვენა, რომ ვინც ძლიერია ეკონომიკურად, პოლიტიკასაც იგი კარნახობს.

სამწუხაროდ, ეს ჩვენს მეტმა ყველამ გაიგო.

მაო ძე დუ-ნი ამბობდა, — „პოლიტიკა უსისხლო ომია, ომი კი — სისხლიანი პოლიტიკაო".

ჩვენ დავუმატებდით — ორივე შემთხვევაში მათი წარმატებით გატარება დამოკიდებულია ძლიერ ეკონომიკაზე.

უკვე ვწერდით, რომ რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთისათვის, რომელშიაც რუსებმა ბრმა იარაღად აფსუა-აფხაზები გამოიყენეს, რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ე. წ. შეერთებისთანავე დაიწყო, მაგრამ ქართველებმა დღემდე ვერ აღვიქვით მისი ნამდვილი არსი და შინაარსი.

ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან კი, ამ ომის საბედისწერო სიმპტომები ყოველ ათ წელიწადში ერთხელ იჩენდა ხოლმე თავს, გაბრიყვებული აფსუების გამოხდომებით, ხოლო ავბედით 1989 წელს კი გამოიკვეთა მისი გარდაუვალობა; მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც სრულიად მოუმზადებელნი აღმოვჩნდით და უკვე ათი წელია ომის ნაცვლად ომობანას ვთამაშობთ.



საბედისწერო აღმოჩნდა ბ-ნ რუსლან მიქაბერიძის მოწოდება — „ქართველებო, ითამაშეთ ომობანაო". ქართველებმა ეს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგეთ და ნაცვლად იმისა, რომ გაგვეხსენებინა, თუ როგორ ომობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენ მართლაც რომ ომობანას თამაში დავიწყეთ.

ქართული განმარტებითი ლექსიკონი „ომობანას" ასე განმარტავს — „ბავშვების თამაშია ერთგვარი; ორ ჯგუფად გაიყოფიან და ვითომ ერთმანეთს ეომებიანო".

სამწუხაროდ, რუსები და აფსუები, ჩვენ „ვითომ" კი არა, ნამდვილად გვეომებოდნენ და გვეომებიან, ჩვენ კი დღემდე „ვითომ ვომობთ".

აფხაზეთში ჩვენ მართლაც რომ ომობანას ვთამაშობდით; თითქოს დიდი ლენინის „უკვდავ ანდერძს" ვასრულებდით და მარტო ჩვენთვის დაებარებინოს — „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკანო".

ასეთი სტილით ვომობდით და ამიტომ საზღვარმა აგერ ზუგდიდ-წალენჯიხის სანახებში გადმოიჩოჩა.

გალის სამარცხვინო „ოპერაციის" შემდეგ კვლავ თავს ვიმართლებთ და ვიმშვიდებთ — ფართომასშტაბიან ომს ავარიდეთ თავი.

თავისთავად ცხადია, როცა ვიწრომასშტაბიანი ომის წარმოება არ შეგვიძლია, „ფართომასშტაბიანს თავი უნდა ავარიდოთ, მეტი რა ჩარაა; მაგრამ, აი, გულმოცემული აფსუები იმუქრებიან — „თუ ჭკვიანად არ იქნებით, მალე ქუთაისიც ჩვენი იქნება და არც წიფის გვირაბის გავლას დაგზარდებითო".

საინტერესოა, დილმის სანახებში რომ გამოჩნდეს მტერი, ფართომასშტაბიან ომში ჩავებმებით, თუ თავისუფლების მოედნამდე ვაცლით მოსვლას?

ათი წელია მაინც, რაც ჩვენ აშკარა უფსკრულის პირას ვდგავართ აფხაზეთთან მიმართებაში, მაგრამ გონს მოსვლას არ ვაპირებთ და ერთიმეორის მიყოლებით საბედისწერო შეცდომებს ვუშვებთ.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა პოლიტიკოსმა უინსტონ ჩერჩილმა ერთხელ თურმე ნიკიტა ხრუშჩოვს უთხრა — როდესაც უფსკრულზე გადახტომას განიზრახავთ, უნდა გახსოვდეთ — მასზე ორი ნახტომის გაკეთება არ შეიძლებაო.

ფრიად ჭკუის სასწავლი სიტყვებია, ვისაც სწავლის უნარი აქვს.

უკვე ათი წელია აშკარა ომის მდგომარეობაში ვართ და აბა რას აკეთებს ქვეყანა ეკონომიკის განვითარებისათვის?

უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს ლაპარაკი რაღაც რეფორმებზე, მაგრამ საქმე კი, როგორც საჭიროა, არ იძვრის ადგილიდან

ჩვენი ეკონომიკის მამებმა (და არა მარტო მათ) აიკვიატეს — ქვეყანა მაინც და მაინც ამერიკული მოდელით უნდა ავაშენოთო და მათ დაივიწყეს, რომ ამერიკა ორას წელზე მეტს მოუნდა დღევანდელ დონემდე მიღწევას და არც ომები დაკლებია, არც სხვა დავიდარაბა.

მე შორსა ვარ იმისგან, რომ ვინმეს ჭკუის სწავლება დავუწყო, მაგრამ ჩემი აზრით, დღევანდელ საქართველოში ამერიკული ეკონომიკისა და პოლიტიკის მოდელების გამოყენება ნიშნავს მშენებლობის დაწყებას სახურავიდან, რაც ყოველთვის მარცხით მთავრდება.

სამწუხაროდ, ჩვენ არც ლუდვიგ ერხარდი აღმოგვაჩნდა და არც სამუელსონი, რომ ყველაფერი მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის ტრადიციებიდან გამომდინარე და მისი ინტერესებისათვის გაკეთდეს.

საქართველოს ბაზრები გადავსებულია მეტწილად უხარისხო, უცხოური წარმოების საქონლით და რატომღაც, თითქოს განგებ, არავინ ფიქრობს, რომ საკუთარი წარმოების, მითუმეტეს, საკუთარი მრეწველობის გარეშე, არათუ რაიმე ომის წარმოება, არამედ საერთოდ არსებობაც კი შეუძლებელია.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ იოსებ სტალინი. მან გენიალურად განჭვრიტა, რომ რუსული იმპერიის ნანგრევებზე წარმოშობილი ახალი საბჭოთა იმპერია ინდუსტრიალიზაციის გარეშე ვერ იარსებებდა და, მიუხედავად ყველაფრისა, მან წარმატებით განახორციელა მრეწველობის უპირატესი განვითარების პროგრამა.

ჩვენთან კი რაც ხდება, შემაშფოთებელია. ვერც ერთი ნორმალური სამრეწველო საწარმო ვერ ამუშავდა.

ამ ცოტა ხნის წინათ, საავიაციო ქარხნის ერთ-ერთმა მუშაკმა დაიჩივლა — უძვირფასესი, ათეული მილიონი ლარის ღირებულების ტექნიკა და ტექნოლოგია იძარცვება და მასთან ერთად

(გაგრძელება მე-7 გვ.)

## ახალი წიგნები

# აფხაზეთი საქართველოა

აფხაზეთის ტრაგედიის გარშემო გაწეული მრავალმხრივი ფართო კვლევა-ძიებით ასეთ ოპტიმისტურ დასკვნას გვთავაზობს ხალხთა ურთიერთობის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, შექმნილ პირობებში შეკავშირებისათვის ენერგიულად მებრძოლი, საზოგადო მოღვაწე პროფესორი ზურაბ პაპასქირი ახლახან დაბეჭდილ წიგნში „აფხაზეთი საქართველოა".

ნაშრომში გაერთიანებულია 1984 წლიდან პრესაში გამოქვეყნებული გამოკვლევები ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების პოლიტიკური, საბრძოლო, კულტურული და სხვა ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე; თავმოყრილია დაბეჭდილი და პირველად გამოქვეყნებული თანამშრომლობა — თანამეგობრობის წარსულის ამსახველი პოლემიკური წერილები, გამოხმაურებანი უკანასკნელი ხანის პუბლიკაციებზე. სამეცნიერო ნარკვევებს უძღვის ომის ექოს ამსახველი ინტერვიუები აფხაზ სეპარატისტთაგან ასდღიან ტყვეობა-პატიმრობაში ნამყოფ ავტორთან; ერთვის ახალ ფართო საზოგადოებრივ მოძრაობად ჩამოყალიბებულ „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის" ისტორიისათვის ფრიად საჭირო ნაირფეროვანი მასალა (განცხადებები, დადგენილებანი, ინფორმაციები, მოხსენებები, რეზოლუციები).

აფხაზ და ქართველ ხალხთა თანამეგობრობის წარსულზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები გაერთიანებულია წიგნის შუა ნაწილში. რუბრიკა „ძმობის ფურცლები" ეძღვნება აფხაზ და ქართველ ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის ღირსახსოვარ ფურცელს, ბრძოლას ანაკოფიის ციხესთან მურვან ყრუს მეთაურობით საქართველოში შემოჭრილ არაბთა მრავალრიცხოვან ლაშქართან. დამოუკიდებლობისათვის ეს თავგანწირული შემართება იყო ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოში ქართველების მხარდამხარ სამშობლოს სხვადასხვა შვილთა; სახელგანთქმულ მოღვაწეთა და მებრძოლთა გმირული თავდადების ბრწყინვალე მაგალითი, რომლის გამომზეურება-გახსენება ხელს უწყობს ჩვენი უდრეკი ნებისყოფა-სიმამაცის კიდევ უფრო განმტკიცებას.



მხარის გარდასული ხანის ამსახველ ნარკვევთა შორის საყურადღებოა წერილი „ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე", რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1990 წლის 11 მაისს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში".

ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ავტორმა XI-XV საუკუნეების წინანდელი აფხაზეთის წარსულს.

ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მკვლევარმა ნათელჰყო, რომ XI-X ს-ში აფხაზეთი ადმინისტრაციულად არ იყო ერთიანი. აფხაზეთის საერისთავოს განაგებდნენ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფოში მანდატურთუხუცესის თანამდებობის მქონე დადიანები.

ავტორი მედგარი მებრძოლია ჭეშმარიტების დასაცავად. კერძოდ, მისი ხანგრძლივი სამეცნიერო პოლემიკა ინტერფრონტის ყოფილ ლიდერ ი. ვორონოვთან, ასახულია სტატიებში „ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი" ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი" (1990 წლის აგვისტოში წერილების სერიად გამოქვეყნება გაზეთში „აფხაზეთის ხმა"); „უმეცრების ფართი-ფურთი" ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა" (დაიბეჭდა 1992 წლის ნოემბერში იმავე გაზეთში).

ისტორიკოსების: ვახუშტი ბატონიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ზ. ანჩაბაძისა და სხვათა ნაშრომების გამოყენებით, ეროვნული და უცხოური წყაროების ღრმა ინტერპრეტაციით მხილებულია ი. ვორონოვის ფალსიფიკაცია.

ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის ჟამს აფხაზეთის საერისთავო შერვაშიძეთა საგვარეულოს მეთაურობით საერთო ქართული სახელმწიფოს ორგანული ნაწილი იყო.

ხანგრძლივი ბრძოლების დროს პროფ. ზ. პაპასქირის დიდი შემართებით შექმნილი ეს წიგნი ავტორის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოწმობაცაა და შემოქმედებითი გამარჯვებაც. ნაშრომმა სამართლიანად დაიმსახურა გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია.

**ფრიდონ სიხარულიძე.**
**ისტორიის მეც. დოქტორი.**
**პროფესორი.**

## ჩინელები ხიდს აგებენ სპარსეთის ყურეზე

როგორც იტყობინება თეირანის „ტაიმსი", ჩინელი ექსპერტები სწავლობენ სპარსეთის ყურეზე ხიდის აგების შესაძლებლობას. ხიდის სიგრძე იქნება 2500 მეტრი. მისი დანიშნულებაა არაბული ქვეყნებისკენ შუა აზიიდან გამავალი გზების შემოკლება.

## ეპისკოპოსები ეკონომისტობენ

აზიელ ეპისკოპოსთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა დასავლეთის ეკლესიას, რომ გვერდში ამოუდგეს აზიისას და მასთან ერთად ითხოვოს იმ ასტრონომიული ვალების ჩამოწერა, რაც აზიის ქვეყნებს დაედოთ ე. წ. გლობალიზაციის პროცესების ანუ აზიის ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში შეუზღუდავი ჩართვის შედეგად. მიმართვის ავტორები არიან მღვდელმთავარნი ფილიპინებიდან, ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, ვიეტნამიდან და ჩინეთიდან. მათი აზრი გამოითქვა რომში, 1 მაისს, რომის პაპის დასწრებით, როცა საუბარი შეეხებოდა შეხვედრათა ტრადიციულ თემებს, როგორიცაა აზიაში ქრისტიანობის გავრცელება (ევანგელიზაცია), ეკლესიის მოღვაწეობა განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და სხვა სფეროებში.

გლობალიზაცია ფიტავს ღარიბი ქვეყნების კულტურას და ეკონომიკურ ღირებულებას. ფულის მკეთებელნი და მრავალნაციონალური კომპანიები ანადგურებენ ოჯახის ღირებულებას. ეკლესიას ჰმართებს მოწყალება, რათა საიუბილეო წელს (2000 წელს) გააუქმდეს ან შეუმსუბუქდეს მესამე მსოფ-

## მსოფლიოს გარშემო

ლიოს ვალები" — ნათქვამია კუმბაკონამის (ინდოეთი) ეპისკოპოსის გამოსვლაში. „ჩვენი ჯგუფი სთხოვს სინოდს, ხმა აიმაღლოს, რათა კარგად იქნას დანახული, რა არის გლობალიზაციის ფენომენი აზიაში. ჩვენ ვთხოვთ სინოდს, მოუწოდოს პირველი მსოფლიოს (დასავლეთის) ეკლესიებს, რომელნიც ჩვენი დები არიან, გვერდით დაგვიდგნენ აზიის ეკლესიებს, როდესაც ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან სამართლიანობას ვითხოვთ" — თქვა კაცერესის (ფილიპინები) არქიეპისკოპოსმა. სხვა მღვდელმთავრებმაც სთხოვეს დასავლეთის ეკლესიას, შეუერთდეს მათ „ჯვაროსნულ ლაშქრობას" აზიის ქვეყნების გალატაკების წინააღმდეგ მესამე ათასწლეულის კვირაძალში.

## აზიური კრიზისის გამოძახილი ამერიკაში

უმძიმესი ფინანსური კრიზისი, რომელიც ნახევარ წელიწადზე მეტია მძვინვარებს აზიაში, არაპირდაპირ შეხებაშია აშშ-ს ეკონომიკასთანაც. ასე, მაგალითად, მძიმე სამშენებლო ტექნიკის მწარმოებელნი იძულებულნი არიან თავისი ნაწარმი ნომინალური ფასის პროცენტად გაყიდონ აზიის ქვეყნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიული უსამართლობა აღარ უნდა განმეორდეს

*(დასასრული. დას. იხ. „საქართველო" №44)*

და ბოლოს, კვლავ ვუბრუნდები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ამჟამად შექმნილ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას და განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ ქსნის ხეობის ზემოწელზე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დემოგრაფიული სახის ხელოვნური დარღვევით, იძულების წესით, შეიყვანეს ოლქის შემადგენლობაში.

ცხინვალში კვლავ იმართება მიტინგები დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების საწინააღმდეგო ლოზუნგებით, ოსური ექსტრემიზმის სიტყვა და საქმე ნათელია: შექმნეს ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ქართულ მიწაზე რუსეთის შემადგენლობაში, იგი დაკომპლექტებულია ეროვნული კადრებით, ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს მაღალი და უმაღლესი რანგის წარმომადგენლებთან. რესპუბლიკის შიგნით კი ყველაფერი კეთდება, რათა მისი იურისდიქცია დამკვიდრდეს ყოფილი ოლქის მთელ ტერიტორიაზე. მარტივი პოლიტიკაა და გაშიფვრას არ საჭიროებს. ქართული მხარის პოზიციები ჩვენთვის ბურუსით არის მოსილი. კარგია, რომ საჯაროდ აღიარებულია ცხინვალის რეგიონი (თუ ბოლომდე შევინარჩუნეთ), მაგრამ დღემდე გაუშიფრავი რჩება პოლიტიკური სტატუსი, რომელიც ალბათ ქართულ-ოსური მხარის მორიგმა შეხვედრამ უნდა განიხილოს ან გადაწყვიტოს. ე.წ. სტატუსი თუ არ გასცდა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს, კულტურული ავტონომიის ფარგლებს, ჩვენც მივესალმებით, მაგრამ თუ გაუშიფრავ სტატუსში იგულისხმება ქართული მხარის შესაძლო კაპიტულაცია და ოლქის აღდგენა ძველ საზღვრებში, ძველი სტატუსით, შიდა ქართლის მიწის ორმაგი განკარგვის უფლებით, ეს გამოიწვევს ამ რეგიონში მცხოვრები ქართველი ხალხის აღშფოთებას. მე კი ქსნისხეველი მოსახლეობის სახელით ვიტყვი, რომ იგი, შიდა ქართლის ეს უძველესი კუთხე, რომელმაც სამოცდაცხრაწლიან მკაცრ გამოცდას გაუძლო და ქართული სული შეინარჩუნა, ახლა ვინმემ სცადოს, კვლავ უცხო დილეგში მოაქციოს იგი, რა მასშტაბს მიაღწევს პროტესტის ფორმები ამ კუთხეში, ძნელი გასათვალისწინებელია. ნეტავ ქარის წისქვილების ნგრევა გამოდგეს ჩემი ეს გამაფრთხილებელი გოდება, მაგრამ იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ისე კი, ჭეშმარიტება მოითხოვს გულახდილად ვთქვათ, რომ ქსანელებმა-ქართველებმა და ოსებმა ოდითგან გამოიმუშავეს მეგობრულ-ნათესაური თანაცხოვრების ბრწყინვალე წესები ოლქის გარეშე. თუ რამ ლაქები გამოჩნდა ეთნოკონფლიქტების პერიოდში, შემოტანილი იქნა გარედან აქ სამუშაოდ ჩამოსულ პირთა მეშვეობით, მაგრამ მაინც ძირძველ ქსნელთა საამაყოდ და სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ სისხლიან დღეებშიც კი ეროვნულ დაპირისპირებათა ნიადაგზე არცერთი ტყვია არ გავარდნილა ამ კუთხეში და თუ კვლავაც მშვიდი ცხოვრება გველირსა ახლო მომავალში, აქაური მკვიდრი ქართველები და ოსები იოლად დავთრგუნავთ ექსტრემიზმს ჩვენი ტრადიციული ჰუმანური ურთიერთობის ძალით, აღვადგენთ მამაპაპურ ძმობას და მეგობრობას, თუ ამ საშვილიშვილო საქმეში კვლავ ავტონომიამ არ შეგვიშალა ხელი.




მიუხედავად ამისა, სეპარატისტულ სამყაროში მოვლენები კვლავაც გამომწვევად ვითარდება. გასული წლის შემოდგომაზე ოსეთის რესპუბლიკამ გამარჯვების წლისთავი იდღესასწაულა ცხინვალში. თვითმარქვია რესპუბლიკის ლიდერები ლტოლვილთა დაბრუნებაზე თანხმობას აცხადებენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ცნობენ ოსეთის რესპუბლიკას და მიიღებენ ამ რესპუბლიკის მოქალაქეობას. ახლახან პრესაძ გვაუწყა ლუდვიგ ჩიბიროვის „გაუმჯობესებული" ვარიანტი, — ჯერ პოლიტიკური სტატუსი გაირკვევა და შემდეგ დევნილებს დავაბრუნებო. ოსური ადმინისტრაციის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ისიც მოითხოვა ქართული მხარისაგან, რომ ოსი ლტოლვილები (ესენი ძირითადად მოხალისე ლტოლვილები არიან, აქედან არავის გაურეკია, ლტოლვილის სტატუსზე გათვალისწინებულმა შეღავათებმა ჩაიტყუა ისინი ვლადიკავკაზში) უნდა დაბრუნდნენ ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომელი რაიონიდან გავიდნენ ისინი ლტოლვილის სტატუსის საძიებლად, განა ცხადი არ არის, რომ ამ მოსაზრების ავტორი ახალ უბედურებას უმზადებს ორივე ხალხს.

პირადად მე და ჩემთან ერთად ჩვენი თანამემამულენი მტკივნეულად განვიცდით, როცა ესა თუ ის პირი, ეხება რა ყოფილი სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხს, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში, თუ პრესის ფურცლებზე აკეთებს ზერელე დასკვნებს, რომლებიც ობიექტურობით და საკითხის ღრმა ცოდნით არ ხასიათდებიან. ახლახანს პარლამენტარმა მამუკა არეშიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენა, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად (?). მამაცხონებული ოსი ექსტრემისტებიც კი არ ჩქარობენ ამ საკითხის ასე სწრაფად გადაწყვეტას, შენ რა ღმერთი გაგიწყრა. მაგრამ მოდაშია, სხვისი სათქმელი სხვაზე ადრე თქვა და ქულა ჩაგეწერება სადღაც. ისე კი, პარლამენტში რომ ქსნელებს ჩვენი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი გვყავდეს, ალბათ ამ სიტყვებს არეშიძეს არ აპატიებდა.

ტრადიციონალისტების ლიდერმა ბატონმა აკ. ასათიანმაც ულალატა მამულის დაცვის მამაპაპურ ტრადიციას და ექსპრეზიდენტი დაადანაშაულა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებაში. მახსოვს, იგი ფეხზე ამდგარი, მაშინ პარლამენტის სპიკერი, ყველასთან ერთად რატაშისცემითა და ენთუზიაზმით

(გაგრძელება მე-7 გვ.)

# „მონკავშირი" მილიონი მონის შექმნას ფიქრობს?..

## (ანუ ნარკომცენარეების პერსპექტივა საქართველოში)

ყველამ ვიცით, რომ სოფლად „კონცლაგერული" საკოლმეურნეო სისტემის დაშლამ და ახალი სამეურნეო ბერკეტების შექმნამ მეტ-ნაკლებად გამოაცოცხლა მთელი აგრარული სექტორი. გამოაცოცხლა და ზოგან ააყვავა კიდეც. ასე მოხდა, მაგალითად, ქსნის შენაკადის ალეურას ხეობაში, სადაც სათიბ-საძოვრის გათავისუფლებამ ნამდვილი სამეურნეო აღმავლობა გამოიწვია. მომრავლდა საქონელი, სული მოითქვა ხალხმა. გაჭირვებისაგან ლამის დაცლაზე მიმდგარმა ხეობამ კვლავ მოშენება იწყო. მშრომელი კაცის საზრუნავი ლუკმა-პური კი არა, თავისი ნაწარმის ქალაქში გატანის გზათა ძებნა გახდა.

ისიც ვიცით ყველამ, რომ საქართველოს მმართველი პარტია „მოქალაქეთა კავშირი" 1995 წლის არჩევნების წინ ჩვენს პატარა და გაჭირვებულ ქვეყანას „მილიონი სამუშაო ადგილის" შოვნას დაჰპირდა. არჩევნების შემდეგ მან ეს პირობა, ცოტა არ იყოს, გადათქვა და მოსახლეობას აუხსნა, რომ იმ ერთ მილიონში, თურმე, ის სოფლელებიც შედიან, თავთავიანთ საკარმიდამოზე რომ შრომობენ და არც სიმინდის, არც ყურძნის და არც ნიონატის მოსაყვანად „მოქალაქეთა კავშირის" დახმარება არ სჭირდებათ. მაგრამ წვრილმანებს ვინ დაეძებს. თუნდ იმ საკარმიდამოებიანად დაგროვილიყო მილიონი სამუშაო ადგილი, მაინც მადლიერნი ვიქნებოდით. განსაკუთრებით კი, ალბათ, ალეურას ხეობის ბინადარნი თავისი მარტივი ტრადიციული მეურნეობით, სადაც სათიბის სიუხვე მაშინვე პროდუქციის სიუხვეს ქმნის, პროდუქციის სიუხვე კი — კეთილდღეობას. ნუ გვეგონება, რომ ალეურას მაცხოვრებლებს სახელმწიფოსგან თუნდ ერთი მისხლისოდენა დახმარება დასჭირდათ ან მიუღიათ-რა! მათ ყოველივე საკუთარი ხელით მოიპოვეს და ბაზარში გასატანი მალალხარისხოვანი პროდუქტებიც საკუთარი ხელით შექმნეს.

დიახ, ეს ყოველივე ვიცით და ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ ხელისუფლება ხელს შეუწყობს და გააღრმავებს ამ დადებით ტენდენციას. ასე უნდა იყოს ლოგიკურად. მაგრამ ნურას უკაცრავად! ჩვენ, თურმე, არ ვიცით ის, რაც მთავარია: რომ სოფლელთა თავისუფალი შრომა, თუ იგი რომელიმე კონკრეტული მაფიის ხელში არაა მოქცეული, მაფიათა სისტემაზე დამყარებული „თავისუფალი" ეკონომიკური წყობის მესვეურთათვის პირადი შეურაცხყოფის ტოლფასია. ამიტომაც ალეურელთა გალაღებას მალე მოეღო ბოლო. შეიქმნა ფირმა „კორინთა", რომელიც გრძელვადიანი იჯარით დაეპატრონა ალეურელთა, პრაქტიკულად, მთელ სათიბსაძოვარს. ხეობის შესასვლელში უკანონოდ დადგეს ხერგილი (უკანონოდ იმდენად, რამდენადაც არავის აქვს უფლება გადაკეტოს ქსნის ხეობიდან არაგვის ხეობაში გამავალი საუღელტეხილო გზა, რომლიც ალეურას ხეობაში გაივლის). ხერგილთან დააყენეს დაქირავებული პოლიციელები, რათა მოსახლეობამ ახალი ბატონის სამფლობელოში ძროხა არ შერეკოს ან იქიდან თივა და ფიჩხი არ გამოიტანოს. სოფლელებს კი, ძველი დროისა არ იყოს, ზუსტად იმდენი დაუტოვეს სათიბადაც და საძოვრადაც, რამდენიც საკმარისია, რომ სული შეინარჩუნონ და თითო მეტრი ფართობისთვის ერთმანეთს დაემტერონ.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ფირმამ მოვარდნილ ხეობაში ტექნიკა, ტექნოლოგია, მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდები, ცოდნა ან კაპიტალი შემოიტანა? არაფერი ამის მსგავსი! ბალახი ისევე ცელით ითიბება, როგორც მანამდე ითიბებოდა, ისევ ისე ორთითებით ბულულდება და ზვინდება, როგორც ადრე. ამ სამუშაოს ისევ ალეურელები ასრულებენ, მაგრამ აქამდე თუ ისინი თავისაში მუშაობდნენ, ახლა ისინი დაქირავებულნი არიან და სხვისაში მუშაობენ, ხოლო გასამრჯელოდ თავისი ნამუშევრის 30-დან 50 პროცენტამდე თივას იღებენ.

რა თქმა უნდა, სოფელში ბზარი და შუღლი ჩნდება იმათ შორის, ვინც ახალ მიწათმფლობელს უქრავდება, და იმათ შორის, ვისაც მასთან შებრძოლება ჰსურს. ალბათ, იკითხავთ, ვინ არიან ეს ახალი ფეოდალები, რომლებიც ნეობარბაროსული ექსპლუატაციის ამ სისტემის სათავეში დგანან? ეს, როგორც იტყვიან, „ნაკრები სალიანკაა": თავდაპირველად ფირმაში ხეობიდან გასული, თბილისში ვაჭრობაზე დასპეციალებული ბატონი მწითურიძე და მისი ადგილობრივი ძმა, სპეციალობით შოფერი ფიგურირებდნენ, შემდეგ სათავეში სხვა, არაადგილობრივი კომერსანტები თუ მეწარმეები, მოკლედ რომ ვთქვათ მოსაქმეები აღმოჩნდნენ. ბუნებრივია კითხვა: სოფელი თავისთავის მტერი იყო, რომ თავისი სარჩო-საბადებელი (ორი ათას ჰექტარზე მეტი) წურბელებს ჩააბარა? მოგეხსენებათ, მთაში სათიბ-საძოვარი წარმოების ძირითადი საშუალებებია და იმ პირობებში, როცა სახნავი ფარ-



თობები მკვეთრად შემცირებულია, მას ხევისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს! პასუხი მარტივია. სოფელი არ იყო თავისთავის მტერი, მაგრამ ფირმა შეიქმნა ყალბი ოქმის საფუძველზე, თითქოს სოფლის კრება შედგა და საკუთარ კისერზე ყულფის ჩამოცმა ნებით გადაწყვიტა. სოფელმა გაასაჩივრა ეს სიყალბე, მაგრამ არც რაიონის ხანდაზმულმა მოსამართლემ ქალბატონმა ჟუჟუნამ, არც ჯანღონით სავსე ძველმა და ახალმა გამგებლებმა და არც ასევე მხნედ მყოფმა პროკურორმა არ ინებეს ამ საჩივრის „ამუშავება". ასე რომ დღეს, „დემოკრატიისა" და მისი მედროშე „მოქალაქეთა კავშირის" ბატონობის პირობებში, ალეურას ხეობაში არა თუ შუა საუკუნეები, არამედ მონათმფლობელობა ყვავის!

ისე მოხდა, რომ ქსნის ხეობის დღევანდელ გამგებელს, „მწვანეთა" ბანაკის და, მაშასადამე, აგრეთვე „მოქალაქეთა" კავშირის ახალგაზრდა პერსპექტიულ წევრს ბატონ თინიკაშვილს პოლიტიკაში ჩახედული ადამიანების ერთმა პატარა ჯგუფმა ამ თემაზე შეკითხვები დაუსვა. კითხვას, თუ განვითარების რა სტრატეგია შესთავაზა ფირმამ ხეობას ან რა შეუძლია შესთავაზოს მას მომავალში, გამგებელი, რა თქმა უნდა, ვერ პასუხობს. იგი რაღაცას ლუღლუღებს გასაჭირში ჩავარდნილ მოწაფესავით და ბოლოს ამოთქვამს „სანადირო მეურნეობა უნდა განვითარდეს ტურისტებისათვისო". (რის ნადირობა, რა ტურიზმი? ტურიმს გზა სჭირდება. ალეურას ნადირის გამორეკვა კი მოსახლეობის ერთ პროცენტსაც ვერ დაასაქმებს). ასე რომ ძალიან მალე მჟღავნდება, როგორი უსუსურია თანამედროვე პლანტატორთა „იდეოლოგია", თითქოს ყაჩაღებთან მებრძოლი მოსახლეობა „ჩამორჩენილობას" ასახიერებს, როგორც XVIII საუკუნის ინგლისელი მუშები, რომლებიც მანქანებს ამტვრევდნენ, უსწავლელი მაფიები და ბიუროკრატია კი — აზრის წინსვლასა და პროგრესს. ტყუილად ჰგონია ამ ყალბი „იდეოლოგიის" მატარებელ გამგებელს, რომ შეუძლია ქსნის ხეობის ბედით დაინტერესებულ და, საერთოდ, ქვეყნის ბედით დაინტერესებულ თუნდაც ერთ ადამიანს სიტყვა მოუგოს: „მობრძანდით ჩვენს ხეობაში, გულღიად დაგხვდებით, მაგრამ ჭკუას ნუ გვასწავლითო". ხეობაში მობრძანება-არმობრძანების გამკითხავი მხოლოდ მისი მშრომელი მოსახლეობაა და არა იქ შეღწეული მაფია, რომელიც მის დაუფლებას ლამობს!

ყველაზე სერიოზული კითხვა მაინც სხვაა და მის უპასუხოდ ამ რეპორტაჟის დამთავრება სწორი არ იქნება. როგორც უკვე ვთქვით, ხეობაში არანაირი სამეურნეო ან ტექნოლოგიური წინსვლა არ არის. თივა ცელით ითიბება, (თუკი ითიბება), ნაწილობრივ გაუთიბავი რჩება და ნაწილიც უპატრონობით ლპება. მაშ რითი იხდის ფირმა „კორინთა" თავის ხარჯებს - რითი ისტუმრებს, მაგალითად, ხერგილზე მდგარ პოლიციას, რომელსაც უკანონო მოქმედების შესრულება „ლამაზი თვალებისათვის" მაინცდამაინც არ ეხერხება? რით ემგობრება „მაღალ სართულებს"? რით ხარობს და სიცოცხლით ტკბება ამ ულმობელ წუთისოფელში? ამ კითხვას ერთი, მაგრამ სამწუხარო, ორსართულიანი პასუხი აქვს. სახელდობრ, შემდეგი.

„ჩიტმა-კორესპონდენტმა", რომელსაც „მაღლა", მაგალითად, თბილისში აკრედიტებულ უცხოელთა საუფლოში ფრენა უფრო უყვარს, ვიდრე „დაბლა", მაგალითად, სოფლებში, ამბავი მოიტანა, რომ „კორინთის" დამგეგმავები, თურმე, დროსტარებაზე არ ფიქრობენ, მათ უფრო სერიოზული სამომავლო გეგმები აქვთ. ქსნის მივარდნილ ხეობას, რომელსაც დღეს, სხვა ყველაფერთან ერთად, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ნაკურთხი და მოწონებული სეპარატისტული მიწოლაც ემუქრება, თურმე გამოყენებას უპირებენ ნარკომცენარეების მოსაყვანად, რისთვისაც საქართველოს მთიანეთის ზონაში საუკეთესო ბუნებრივი პირობები არსებობს. ქსნის პატარ-პატარა შენაკადი ხეობები, როგორც ალეურისაა, უნდა გადაიკეტოს და ხელი უნდა შეეწყოს იქიდან მოსახლეობის წასვლას. ამის შემდეგ, მოგეცათ ლხენა, იქ გინდ ტარხუნას მოიყვანთ და გინდ ხაშხაშს. რა შემოსავალს მოიტანს ეს განუკითხაობა, ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ ეს ჩვენი კითხვა-პასუხის მხოლოდ ერთი, „ქვედა" სართულია. ფული — თვით მწვანეც კი — ბოლოს და ბოლოს ხელის ჭუჭყია და ის „დიდი პოლიტიკოსი" დიდი პოლიტიკოსი არაა, ვინც მასზე შორს არ გაიხედავს. ჩვენი კითხვის მეორე ნაწილი შემდეგი გახლავთ: დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი მძიმე ამოცანაა არა მხოლოდ ნარკოტიკების ვაჭრობასთან ბრძოლა, არამედ მათ წარმოებასთანაც, რომლის პირველი საფეხურია ნარკომცენარეების მოყვანა. ისეთი მწარმოებელი ქვეყნების არსებობა, როგორიცაა ავღანეთი, კოლუმბია და ზოგი სხვა, კაცობრიობისათვის უბედურებად ითვლება. განა კარგი არ არის, თავისუფალი საქართველოც ერთ-ერთ ასეთ ქვეყანად იქცეს და ამით რუსეთს მსოფლიოს მიერ კურთხევა მიეცეს. ამ თავისუფალ ქვეყანას თავისი ჩექმა კიდევ ერთხელ დააბიჯოს ნარკომცენარეების „კონტროლის" მიზნით და იგი კვლავ არათავისუფალი გახადოს?

სრულებით არ გვინდა იმის თქმა, რომ ზემოხსენებული ამბის რომელიმე მოქმედმა პირმა ეს ყველაფერი იცის. არც იცის და, ალბათ, ვერც ხვდება! მაგრამ ვურჩევთ, როგორც იტყვიან, „ჭკუას წიხლი დააჭირონ" და ამ თემაზე სერიოზულად იფიქრონ!

**კობა იმერელი**

# ომი-ეკონომიკა და პოლიტიკა. ანუ ქართველებო, ნუღარ ვითამაშებთ ომობანას!

(მე-5 გვერდიდან)

ამ ტექნოლოგიების მცოდნე სპეციალისტებიც ან იდევნებიან, ან თვითონ მიდიანო.

მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო; ჩვენში ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ კაპიტალიზმი რთული საბაზრო სისტემების მქონე ფორმაციაა და წარმატება იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ გამოიყენებს.

რას წარმოადგენს დღევანდელი ქართული ბაზარი? არც მეტი, არც ნაკლები — დღევანდელი ქართული ბაზარი მარკეტინგში ანუ საბაზრო ფილოსოფიაში იწოდება შუალედ გამყიდველთა ბაზრად, თანაც იგი არაცივილიზებული ბაზარია, სადაც გამყიდველი ბატონობს.

ეს არის ბაზრის ერთ-ერთი პრიმიტიული ფორმა, რომლის ურთიერთობანიც გამოხატულია შესანიშნავი ქართული თქმით — თხა ვიყიდე, თხა გავყიდეო.

მარტოოდენ შუალედ გამყიდველთა ბაზრით, არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია წარმატებისათვის და ჩვენი წარმატებაც გამორიცხულია.

ეს დაახლოებით ისეთია, როგორიც იყო ხრუშჩოვ-ბრეჟნევის დროინდელი ანეკდოტი — „მატარებელში ფარდები ჩამოაფარეთ, ადგილზე „აბუქსავეთ" და ხალხს მოეჩვენება, წინ მივდივართო".

ზემოთ ამერიკული მოდელის ჯიუტად გამოყენებას შევეხეთ. ნათქვამია, ყველა შედარება მოიკოჭლებსო, მაგრამ ხომ არ სჯობია, ნიმუშად ავილოთ არა აყვავებული ამერიკის მოდელი და 10 ლარიან პენსიაზე 2 ათას დოლარიანი ამერიკული საგადასახადო კანონები კი არ ვკერ-



ოთ, არამედ ავილოთ, რომელიმე, ერთ დროს დაქცეული ქვეყნის ნიმუში.

ამისათვის, მოდით ცოტა ხნით გადავინაცვლოთ ამომავალი მზის ქვეყანაში — 1947-1948 წლების იაპონიაში.

იაპონია — საქართველოზე ტერიტორიით დაახლოებით 5-ჯერ მეტია, მოსახლეობით კი — 24-ჯერ მაინც.

ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ იაპონიას საკუთარი მატერიალური რესურსები თითქმის არ გააჩნია და მათი დაახლოებით 95 საზღვარგარეთიდან შეაქვს.

და აი, ასეთი იაპონია თავისი ეკონომიკით დღეს საქართველოში მეორე ქვეყანაა, ბევრ დარგში კი პირველიც.

მაგრამ, როგორი იყო იგი 1947-48 წლებში? ეს იყო მეორე მსოფლიო ომში სასტიკად დამარცხებული, ეკონომიკადანგრეული, რწმენადაკარგული ქვეყანა, სადაც ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები.

და აი, ასეთი იაპონია, ამერიკიდან იწვევს სპეციალისტებს და 1948 წელს ქმნის „ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამას", სადაც ქვეყნის ტრადიციებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, პირველ რიგში დასახულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარება.

ამ პროგრამის მეთოდური შესრულებით, 10 წელში ქვეყანა გამოდის ჩიხიდან, აღწევს აღმავლობას, ხოლო 20 წლის შემდეგ კი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამეულში შედის.

ყურადსაღებია, რომ იაპონელებმა ფასების ლიბერალიზაცია, ან განთავისუფლება — აშვება მოახდინეს პროგრამის შესრულების დაწყებიდან 12 წლის შემდეგ, 1960-1961 წლებში.

აი, საიდან უნდა აგველო და უნდა ავიღოთ მაგალითი. და არა ისე, როგორც ჩვენთან ხდება — მოხალისე უცხოელ სპეციალისტთა გაუთავებელი ვიზიტები, კაპრიზები, მოთხოვნები და ა. შ. გადის წლები და, თითქმის, კვლავ გაყინულია ეკონომიკა. ჩამოდის ბ-ნი ვალავი, გვიტოვებს მილიარდიან ვალებს და მიდის, ჩვენ კი ისევ იქ ვდგავართ.

ცილი რომ არავინ დამწამოს, უცხოელთა დაუსაბუთებელ კაპრიზებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, ერთ მაგალითს მოვიყვან იმის ნიმუშად, თუ როგორ არ აინტერესებთ უცხოელებს საქართველოს ბედ-იღბალი.

სავალუტო ფონდი, თუ მსოფლიო ბანკი, კატეგორიულად მოითხოვს საქართველოში ხე-ტყის ექსპორტის დაშვებას, თუ არა და იმუქრება, არავითარ შემთხვევაში კრედიტს არ მიიღებთო.

არადა, ამ ბანკმა, თუ ფონდმა, ან არ იცის, ან თუ იცის და განგებ აკეთებს, მით უარესი ჩვენთვის, რომ მარტოოდენ საშეშე ხე-ტყეზე ( მე არაფერს ვამბობ სამასალეზე) მოთხოვნა დღევანდელ საქართველოში შეადგენსა მინიმუმ 6-7 მლნ მ3-ს. მაშინ, როდესაც ჩვენი საექსპლოატაციო ტყეების ყოველწლიური შემატება უდრის 2,0-2,5 მლნ მ3-ს, ე. ი. მოთხოვნა მარტოოდენ შეშაზე, ჩვენი საექსპლოატაციო ტყეების შესაძლებლობას აღემატება დაახლოებით 3-ჯერ.

რაკი ეს ასეა, საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტი გამოიწვევს ჩვენი ტყეების მასობრივ მოსპობა-გაჩანაგებას, რასაც მოჰყვება შეუქცევადი მძაფრი ეკოლოგიური კრიზისი, რომელიც უკვე დაწყებულიცაა და, რომელსაც შემდეგ ვერავითარი მსოფლიო ბანკი, თუ სავალუტო ფონდი ვერ შეაჩერებს და ვერც უშველის.

აი, რატომ არ შეიძლება ყველა მოხალისე უცხოელი სპეციალისტისადმი ბრმად ნდობა. ისე გამოდის, რომ თითქოს უცხოელები ჩვენზე ცდებს ატარებენ, თუ რამე გამოვა ხომ კარგი, თუ არა და წასასვლელ ბილეთს ხომ ადვილად იშოვნიან, შემდეგ ახლები ჩამოვლენ.

სხვათაშორის, ცნობილი რუსი ფიზიოლოგი, ივანე პავლოვი 20-იან წლებში წერდა — ბოლშევიკები საბჭოთა ხალხზე ისეთსავე ლაბორატორიულ ცდებს ატარებენ, როგორც ჩვენ ფიზიოლოგები კატებსა და ვირთხებზე.

თუ რა გამოვიდა ბოლშევიკთა „ცდებიდან", ეს უკვე კარგად ვიწვნიეთ და ხომ არ სჯობია, უფრო ფრთხილად მოვეკიდოთ ახლა კაპიტალისტთა ცდებსაც.

ამიტომაა, რომ წლები გადის და ჩვენი ეკონომიკა კი ადგილიდან თითქმის არ იძვრის. რაკი ეკონომიკა ზურგს არ გვიმაგრებს, ამის გამო ნამდვილი ბრძოლის ნაცვლად ომობანას მივაჩვიეთ არმიაც.

გაგრის, სოხუმის და გალის ოპერაციებმა და ტრაგედიებმა, მიუხედავად მრავალი გმირული ფაქტისა, დაგვანახა, რომ ეკონომიკის უქონლობის გამო ნორმალური არმია ვერ შევქმენით და ამ ოპერაციებმა,

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# ისტორიული უსამართლობა აღარ უნდა განმეორდეს

(მე-6 გვერდიდან)

შეხვდა ამ განცხადებას, მაგრამ ახლა? „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო". არჩევნები ახლოვდება, ისევ მაცდური, დამაქცეველი, მომგებიანი ქულები.

გასული წლის ბოლოს, პარლამენტარმა მამუკა გიორგაძემ (თავისი შემტევი გამოსვლებით, ჩემთვის სიმპათიურმა პირმა) რადიოინტერვიუში განაცხადა: რა მოხდა, ვახსენოთ სამხრეთ ოსეთი, მართალია, ჩემი კოლეგა პარლამენტარები გამიწყრებიან ამ სიტყვებისათვის, მაგრამ მე ასე მჯერაო. გულახდილად ვიტყვი, არაჯანსაღი რწმენაა, უვარგისი რომ არ იყოს, რა საშინელი შედეგებით დამთავრდა, როგორც ქართველებისათვის, ასევე ოსებისათვის ტერმინის „სამხრეთ ოსეთის" მიღმა განვითარებული მოვლენები, საყოველთაოდ ცნობილია. ეს კარგად უნდა იცოდნენ ეუთოს წარმომადგენლებემაც, რომლებიც, როგორც პრესიდან ვიცით, ამ საკითხზე მაინცდამაინც ჯანსაღი წარმოდგენებით როდი გამოირჩევიან. ძალზე კარგს იზამდა ყველა რანგის ყოფილი ოლქით დაინტერესებული პირი ადგილზე რომ გაეცნოს კვლევის ობიექტს. შემოიაროს ახალგორშიც, გულდასმით შეისწავლოს ქსნელთა რეალური ცხოვრების დღევანდელი სახე. ამასთან, კარგად გაანალიზოს ცოტა ქვემოთ შემოთავაზებული სტატისტიკური მონაცემები და საკუთარი დასკვნების გაკეთებაზე შემდეგ იზრუნოს.




დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც თვითმარქვია ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩიბიროვმა, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ცალსახად აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი (მხედველობაში ჰქონდა ალბათ, ახალგორის რაიონი) ოკუპირებული აქვს საქართველოსო (?), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგორის რაიონს, ოლქის ჩამოყალიბებისას, გაუმართლებლად შემოუერთეს გორის მაზრის ოსური სოფლები (წინაგარი, ძუკათკაუ, ღდულეთი, კიტრიული, ორჭოსანი, ზემოყური). დღეს ეს სოფლები, ახალგორის რაიონის სხვა სოფლებთან ერთად, ფორმალურად შედიან მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი ოსური სოფლების ქართულ იურისდიქციას არ ექვემდებარებიან. ისინი სამოქმედო განკარგულებებს ცხინვალის ადმინისტრაციიდან ღებულობენ, ანგარიშვალდებულნიც მათ წინაშე არიან. აქ ჯერ ისევ საბჭოური ხელისუფლებაა, შექმნილი აქვთ საკუთარი შინაგან საქმეთა განყოფილება და რაც მთავარია, დიდი ხანია წინაგარში ფუნქციონირებს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ლენინგორის (ახალგორის დამახინჯებული სახელწოდება) რაიკომი. მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას რომ თავი გავანებოთ, წინაგარში მოკალათებული პარტიულ-საბჭოური აპარატის შენახვა მძიმე ტვირთად აწევს რაიონის ისედაც გალატაკებულ ბიუჯეტს. ამხელა სავარგულების პატრონმა წლების მანძლზე არაფერი შეიტანო ბიუჯეტში და ყველაფერი კუთვნილი გაიტანო იქიდან, განა ეს დასაშვებია? რაიონის მძიმე ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ახალი სკოლის გახსნამ. დიახ, ამ ორიოდე წლის წინათ, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და განათლების სამინისტრომ შეცდომა დაუშვეს, დააკმაყოფილეს რა ერთი მუჭა მოინტელიგენტო ოსური ჯგუფის ჭირვეული მოთხოვნა და ახალი სკოლის გახსნის ყველა ნორმის დარღვევით, ახალგორში დაარსეს რუსული სკოლა (ოსური მაინც ყოფილიყო) მაშინ, როცა დაბაში არცერთი რუსი ბავშვი არ ცხოვრობს. „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო". განა ბოლომდე აიტანს ამხელა, გაუთვალისწინებელ ხარჯებს რაიონის ავადმყოფი ბიუჯეტი? აკი, ვერც იტანს კიდეც.

მაპატიოს მკითხველმა, თუ გადავღალე და ქსნელთა თავსატეხი არც თუ მოკლე წერილში გავუზიარე. უმორჩილესად ვთხოვ პარლამენტის დეპუტატებს, აგრეთვე სხვადასხვა კომისიებსა თუ კომიტეტების წევრებს, რომლებიც ქართულ-ოსური ურთიერთობის დარეგულირებაზე მუშაობენ, ქსნის ხეობის სახელოვან შვილს, დავით ზეიკიძეს, ქსნელთა და არაგველთა ტრადიციული მეგობრობის ბრწყინვალე გამგრძელებელს, ბატონ შალვა ნათელაშვილს, ობიექტური გამოსვლებით ცნობილ ქალბატონ ირინა სარიშვილს, ბატონ გურამ შარაძეს, ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს და ყველას, ყველას, ვინც სიმართლისათვის, მამულის მოვლა-პატრონობისათვის ხმის გაღებას არ დაიზარებს, ქსნელთა სახელით, როცა საამისო მომენტს მიზანშეწონილად ჩათვლიან, ჩვენი ხალხის გულსატკივარი პარლამენტის ყველა წევრამდე და აქედან მთელ ქართველ ხალხამდე მიიტანონ. ეს იქნება დიდი ეროვნული საქმე, თქვენგან გადადგმული მორიგი პატრიოტული ნაბიჯი, რასაც შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს. არ დაივიწყებენ მამულიშვილობით განთქმული ქსნელნიც.

საქართველოს ბევრი აქვს დაკარგული, მას დასაკარგი მიწა აღარ გააჩნია, სანახევროდ გაცემული მიწა, რომელ ეროვნულ უმცირესობაზეც არ უნდა იყოს, სანახევროდაც აღარ ეკუთვნის პატრონს, ამის მწარე გამოცდილება სახეზე გვაქვს ქართველ ხალხს და საბედისწერო შეცდომა აღარ უნდა ჩაიდინოს, თუ იგი საკუთარ სიცოცხლეზე ზრუნავს.

ქსნის ხეობის თემაზე გამოსვლებს რომ რეალისტური ხასიათი მიეცეს, ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს მივაწვდი სტატისტიკურ მასალას, რომელიც ნათლად ასახავს ამ უბნის დღევანდელ დემოგრაფიულ სურათს.

1922 წელს, როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ქსნის ხეობის ოლქში შემავალ მონაკვეთზე ფუნქციონირებდა 124 დიდი და პატარა სოფელი. აქედან, 69 ქართული, 55 ოსური. ოლქის არსებობის პერიოდში, უგზოობის, რაიონული ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებისა და, რაც მთავარია, პირად სარგებლობაში მყოფი საქონლის სულადობრივი რაოდენობის შეზღუდვის გამო, მთის სოფლები მოსახლეობისაგან ხელმოსმით დაიცალა (ძირითადად ლაპარაკია იმ ოსური სოფლების დაცლაზე, რომელთა მიზეზითაც ხეობის უამრავი ქართული სოფელიც ოლქის შემადგენლობაში შეიყვანეს). ზემოთ აღნიშნული 55 ოსური სოფლიდან დღეისათვის აღარ არსებობს 43, ფუნქციონირებს მხოლოდ 12, 69 ქართული სოფლიდან კი, იმავე მიზეზების გამო, დაიცალა 12, დღეისათვის არსებობს 57 სოფელი.

აღნიშნული სოფლები გაერთიანებულნი არიან რვა საკრებულოში. ყველა საკრებულოდან ცალკე ცხრილში ამოვკრიბე 21 ქართული და ოსური სოფელი, სადაც მოსახლეობის რაოდენობა თითოეულში 100-ზე მეტს შეადგენს. დანარჩენი, შედარებით პატარა სოფელი 10-15 მოსახლით, საერთო მდგომარეობას ვერ სცვლიან, რადგანაც ამ სოფლებშიც ქართული მოსახლეობის უპირატესობა აშკარაა. გაანალიზება, ვგონებ ზედმეტია, ერთს კი დავძენ, მონაცემები, რომლებიც წერილში წარმოვადგინე, აღებულია ადგილებზე, საკრებულოებში დაცული დოკუმენტური მასალებიდან და მკაცრი სიზუსტით გამოირჩევა. მთლიანად ქსნის ხეობის ზემო წელზე დღეისათვის აღრიცხულია 8317 მცხოვრები, აქედან 7220 — ქართველი, 1097 ოსი. ე. ი. 86% ქართველი, 13% — ოსი. კომენტარი აქაც ზედმეტია. ამ მონაცემების გაცნობის შემდეგ, არ მეგულება ვინმე ჭკუათმყოფელი, ის ქართველი იქნება, ოსი, რუსი, გაეროელი თუ ეუთოელი, გაეცნოს ამ მონაცემებს და კვლავ გაიმეოროს, — ქსნის ხეობა, ჯერ კიდევ წმინდად შენახული, საქართველოს უძველესი სისხლხორცეული ნაწილი ოსურ ადმინისტრაციაში შევიყვანოთო. აქაურმა ქართველმა ხალხმა 69 წლის მანძილზე თავის მხრებზე ზიდა უცხო, დამამცირებელი. უღელი და ამას წერტილი უნდა დაესვას. ისტორიული უსამართლობა აღარ უნდა განმეორდეს!

**ვალერიან ხოცუაშვილი**
**დ. ახალგორი**

## მსოფლიოს გარშემო

### ჩინურ-უკრაინული სამხედრო თანამშრომლობა

ჩინეთის თავდაცვის მინისტრი ჩი-ჰაო-ტიანი შეხვდა თავის უკრაინელ კოლეგას და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. მან მოახსენა უკრაინულ სათავდაცვო უწყების მეთაურს, რომ ჩინეთს განზრახული აქვს თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, რაც, სხვათა შორის, მოიცავს ჩინეთის 3 მილიონ 200 ათასიანი არმიის პირადი შემადგენლობის შემცირებას ნახევარი მილიონი კაცით.

1991 წლამდე უკრაინა ამზადებდა ჩინეთის მთელი სამხედრო-აღჭურვილობის 30 პროცენტს რაკეტების, ტანკების, ავიაგამანადგურებლების და საბრძოლო გემების ჩათვლით.

### უცხო მებრძოლები კოსოვაში

„ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, კოსოვაში მოქმედი ალბანური ეროვნების შეიარაღებული რაზმები ძალიან გაიზარდა ალბანეთიდან იარაღისა და ცოცხალი ძალის შემოღწევის შედეგად. იმის ნიშნებიც კი არის, რომ მათ უცხოელი დაქირავებულები შეუერთდნენო. ეს ზრდა იმის შიშსაც ბადებს, რომ შესაძლებელია ახალმა ბალკანეთის ომმაც იფეთქოსო. როგორც არაერთ მეამბოხესთან ინტერვიუ გვიჩვენებს, მათ ხშირად აქვთ მიღებული საბრძოლო გამოცდილება. ტყე-ღრეში მიმოფანტული არაერთი ალბანელიც ამბობს, ჩვენი სამუშაო მივატოვეთ გერმანიასა და შვეიცარიაში და აქ ჩამოვედით საომრადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი–ეკონომიკა და პოლიტიკა, ანუ ქართველებო, ნუღარ ვითამაშებთ ომობანას!

(მე-7 გვერდიდან)

რომლებშიც ჩვენს ჯარს ქაოსური სახალხო ლაშქრის სახე ჰქონდა, მარადისობის საკმაო დონით, სახელი გაუტეხა და შეულახა ქართულ სამხედრო ხელოვნებას.

საუკუნეების მანძილზე მრავალი დიდი, თუ პატარა ომი გადაუტანია ქართველებს, გამარჯვებაც ბევრი უნახავს და დამარცხებისა და ღალატის სიმწარეც უგემნია, მაგრამ ყოველთვის მომავლის იმედის მქონე მეომრად დარჩენილა.

ქართველთა სამხედრო ხელოვნებისა და გმირობის ბრწყინვალე ნიმუში, სწორუპოვარი დიდგორის ომი — „ძლევაი საკვირველი" ხომ მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების სახელმძღვანელოებშია შესული.

ქართველთა გმირობა ახსოვთ ქაიროს, ბაღდადის, ისპაჰანის, სტამბულის თუ ყანდაარის სანახებს, ბოროდინოს ველებს...

მაგალითები საკმარისზე მეტია.

აკი, როგორც მემატიანე ამბობს — ქართველთა მთავარი პრინციპი იყო: რამეთუ მტერი ვიხილოთ ჩვენსკენ მომავალი, არა არს წესი ქართველთაგან, რომ ზურგი შეაქციონო. აი, ასეთი იყო ქართველობა.

დღეს კი, რა დაგვმართნია.

დღეს კი, ის დაგვემართა, რომ თითქმის არაფერი კეთდება მეომართა, თუ გნებავთ საერთოდ ხალხის, პატრიოტული გრძნობით აღზრდისათვის (დიახ, ბატონებო! ეს სიტყვა ნურავის გააღიზიანებს — ხალხს დიახაც სჭირდა აღმზრდელი და წარმართველი ძალა, თუ არა და იგი ბრბოს ემსგავსება, როგორც დღევანდელი ქართველობა).

ის კი არადა, პირიქით, წლების განმავლობაში ხალხს უნერგავენ არასრულფასოვნების კომპლექსს, ჩასჩიჩინებენ ცინიზმის უმაღლესი გამოვლინებით, რომ ქართველობას არავითარი მისია არ გააჩნიაო ამ ქვეყნად; თითქოს მისია ის არ იყოს, რომ ამა თუ იმ ხალხმა თავისი თავი გადაურჩინოს კაცობრიობას; ყოველი ერი ხომ უნიკალური მოვლენაა.



ხალხს ჩასჩიჩინებენ, რომ ყველაზე ზარმაცი ხალხია მსოფლიოში; თითქოს ჩვენს მიწაზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე არსებული ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, ციხე-კოშკები, ბრწყინვალე სულიერი კულტურის ძეგლები ქართველობას კი არა, ვილაც სხვას შეექმნას ჩვენთვის.

სხვათა შორის, 60-იან წლებში ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ ნეკრასოვი (რომანის „სტალინგრადის სანგრებში"-ავტორი) წერდა — მსოფლიოში, იტალიის გარდა, ვერსად შეხვდები მატერიალური კულტურის იმდენ ძეგლებს, როგორც საქართველოშიო.

ქართველობას ჩასჩიჩინებენ, რომ იგი თითქოს ყველაზე გაუტანელია და ეგოისტია, არადა საქართველოს მთელი ისტორია საპირისპიროს ღაღადებს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ეს განგებ, წინასწარ განზრახულად კეთდება და ალბათ, ესეც „უქართველო საქართველოს" პროგრამაში ჯდება.

ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახმოო. ყოველივე ამის შემდეგ, როგორი სულისკვეთებით დამუხტული მეომრებიანი არმია გვეყოლება?

არმიას არა აქვს იდეოლოგია. ყოველ შემთხვევაში, ყველაფრიდან ჩანს, რომ აქამდე ასეთი რამ არ ჰქონია; მან არ იცის, რისთვის უნდა იომოს და ამიტომაც ვერ ომობს — ომობანას თამაშობს.

არადა, სამარადისოდ წასულ ადამიანს პატრიოტობას ვერ მოსთხოვ.

ერთი ასეთი ანეკდოტური ამბავიც (უფრო კი სატირული) გამიგონია, — თითქოს აფხაზეთის ომის დროს თბილისის აეროპორტში თვითმფრინავით „ნაალაფარი" თხა ჩამოეყვანათ.

ასეთი ეკონომიკისა და ასეთი არმიის პირობებში, ნებისმიერი საომარი ოპერაციის წამოწყება მარცხისთვისაა განწირული და კიდევაც ასე ხდება.

ამიტომ, ქართველებო! ნუღარ ვითამაშებთ ომობანას, რომელსაც ჩვენთვის ტერიტორიების დაკარგვისა და სახელის გატეხვის მეტი არაფერი მოაქვს.

არამედ, ჯერ ვემზადოთ დიდი სამამულო ომისათვის — მტკიცე-ძლიერი ეკონომიკისა და ასევე კარგად შეიარაღებული, პატრიოტული არმიის შექმნისათვის, რაც თავისთავად დიდ და ხანგრძლივ მშვიდობას ნიშნავს.

**მინაწერი პირველი:** ის იყო ამ წერილს ვამთავრებდი, რომ ტელევიზიით ლაგოდეხში ჩატარებული „არჩევნების" „გულისგასახარი" ტრაგიკომედია აჩვენეს, — არნახული ცემა-ტყეპით. როგორ მინდოდა გამოჩენილიყო ვინმე და დათა თუთაშხიასებურად შეეძახნა — „ახალგაზრდებო, ასე რამ დაგიბნელათ გონება. რას სჩადიხართ! ასეთ ენთუზიაზმს რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად იჩენდეთ, მაშინ ოსების ორი პრეზიდენტი ველარ გაუბედავდა ქართველთა პრეზიდენტს — ორი გერმანიის მსგავსად, იქნებ ორი ოსეთიც ბარემ გაგვეერთიანებინათო; აბა, ვის სცალია ოსებს უთხრას და აგრძნობინოს, რომ ბუნებაში ორი ოსეთი არასოდეს არსებულა და არც არსებობს, რომ ოსეთი ერთადერთია და ესაა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ოსთა საცხოვრისი; რომ ქართლზე მათი პრეტენზიები, ეს დამპყრობლის პრეტენზიაა და ადრე თუ გვიან ასეთი პრეტენზია უნდა აილაგმოს და სათანადოდ დაისაჯოს.

მაგრამ ამისათვის ქართველობას ჯერ არ სცალია — ჩვენი ახალგაზრდობა ერთმანეთის ცემატყეპასა და ხოცვა-ჟლეტაზეა გადასული.

ბატონმა პრეზიდენტმა ოსების მოთხოვნას გარკვეული დუმილით უპასუხა, რადგან იცის თავისი მრევლის ამბავი, რომ ლაგოდეხში დეპუტატის მანდატისათვის გამართული ცემა-ტყეპა ერთი წლის შემდეგ საარჩევნო კამპანიისას ალბათ ფართომასშტაბიან ხოცვა-ჟლეტაში (ღმერთმა ნუ ქნას, თუმცა ქართველებს ამის კარგი პრაქტიკა უკვე გვაქვს) გადაიზრდება და საქართველო ისედაც დარჩებათ — დასავლეთში აფსუებს, ხოლო აღმოსავლეთში — ოსებს.

უპრიანი კი იქნებოდა, საერთოდ რომ გაეუქმებინათ ეს ავბედითი მანდატი, რომელმაც ერთხელ კიდევ მოგვჭრა თავი.

საინტერესოა, რა უნდა გააკეთოს ისეთი ბ-ნმა დავით კაპანაძემ, რომ ეს ლაგოდეხური სირცხვილი დასანანი არ გახდეს.

ასე რომ, კომედია დამთავრდა, ტრაგედია კი გრძელდება.

**მინაწერი მეორე:** მალე მესამე ათასწლეული ჩამოდგება, დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ეგებებოდა საქართველო მეორე ათასწლეულის მოსვლასაც და აი, გამოჩნდა 16 წლის მზეჭაბუკი დავით IV-ის სახით, რომელმაც პირველ რიგში სიცოცხლის, გადარჩენის, გმირობის, სამშობლოს სიყვარულის რწმენა დაუბრუნა და ჩაუნერგა ქართველობას და ისე შეუდგა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის აღმშენებლობას; მადლიერმა შთამომავლობამ კი „აღმაშენებელი" უწოდა.

მეც იმის იმედით ვამთავრებ ჩემს „გოდებას დაკარგულ აფხაზეთზე", რომ დღეს ან ხვალ მოგვევლინება მეორე დავით აღმაშენებელი — „მესიის მახვილით" და ფეხზე წამოაყენებს წაქცეულ, დაქცეულ და დაბნეულ საქართველოს.

„ამიტომ ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, როდის მოვა სახლის პატრონი — საღამოთი თუ შუაღამისას, მამლის ყივილზე თუ განთიადისას; რათა მოულოდნელად რომ მოვიდეს, მძინარენი არ გიპოვოთ; რასაც თქვენ გეუბნებით, ყველას ვეუბნები: „იფხიზლეთ" (მარკოზის სახარება)

**ბიძინა თავაძე.**

# ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ინტერვიუ შედგეს!

## „მალე თბილისში ღირსეულად დავბრუნდებით!"

### (საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის ერთ-ერთი ორშაბათის რადიოინტერვიუ ჟურნალისტ სუქნა პუტკუნიასთან ქ. თელავში)

### (ცრემლიანი იუმორი)

**სუქნა პუტკუნია: ბ-ნო პრეზიდენტო, მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ აშუქებენ ჩვენი სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის ბოლოდროინდელ წარმატებებს — კერძოდ, თქვენი ბრძანებითა და უშუალო პასუხისმგებლობით ქართლისა და თბილისის უბრძოლველ, უსისხლო დატოვებას.**

პრეზიდენტი: გმადლობთ, დილა მშვიდობისა ძვირფასო კახელებო და კახეთში — აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან, იმერეთიდან, ქართლიდან და თბილისიდან ლტოლვილებო! დიახ, ჩვენმა საბრძოლო შენაერთებმა უბრძოლველად დატოვეს თბილისი... მე ცრემლი მახრჩობდა პირდაპირ, როდესაც ნავთლუღს გამოვცდით. ეს ხომ ის ქალაქია, რომელშიც მე ჩემი შეგნებული ცხოვრება განვლე. დღეს ზოგი პოლიტიკანი მაკრიტიკებს ჩვენი საყვარელი დედაქალაქის დატოვების გამო. თითქოს მათ ჩემზე ძალიან შესტკივათ გული! მართალია, დღეს თბილისელებს მძიმე დღე დაუდგათ — გადამთიელები მათ ოჯახებს აწიოკებენ და ძარცვავენ, კლავენ, აუპატიურებენ, წვავენ საცხოვრებელ კორპუსებს და თბილისელთა დიდი ნაწილი მეტროს გვირაბებშია ჩაყრილი, მაგრამ ამასთან, მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემი ეს ნაბიჯი მოიწონეს გაეროსა და ევროსაბჭოში, ხოლო ახმეტაში გადმოსულმა ამერიკის საელჩომ მიღებაც კი გამართა ჩემი ამ ბრძნული, ჰუმანური გადაწყვეტილების გამო.

**სუქნა პუტკუნია: ბ-ნო პრეზიდენტო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თბილისელებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს მოძალადეებს, როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?**

პრეზიდენტი: არ შეიძლება სიამაყით არ აღივსოს კაცი, როდესაც ორგანიზაცია „თბილისელის" გმირობის ამბებს მოისმენს — ისინი მტკიცედ გამაგრდნენ ქალაქის რესტორნებსა და კაზინოებში. მტერს ძალიან ძვირი დაუჯდა მათი იქიდან გამოდევნა. ბევრმა ბოევიკმა კაზინოებში დატოვა ნაძარცვი ქონება და საქორწინო ბეჭდებიც კი... ჩვენი მოქალაქეები ხომ შესანიშნავად ფლობენ ბანქოს თამაშის ხელოვნებას. მე არ მინდოდა საზარბაზნე ხორცად მათი ქცევა, ამიტომ ისინი ძირითადად ცისფერი სალებავებით სავსე ბუშტებით შეიარაღებულები იგერიებდნენ მომხდურთ. მაგრამ სამწუხაროდ, კბილებამდე შეიარაღებულმა ყაჩაღებმა მაინც შეიპყრეს ისინი, რომლებიც აღვირახსნილი ძალადობის მსხვერპლი შეიქმნენ!.. ამასთან მე მსურს დავამშვიდო ჩემი მუდამ ერთგული მათი მშობლები — ახალგაზრდა მოქალაქეთა სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. დატყვევებულები ახლახანს მოძალადე ჯარისკაცთა ყაზარმებში მოინახულეს პარლამენტის ხელმძღვანელებმა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, რომლებიც ძალზე კმაყოფილები დარჩნენ... მათ შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი, რაც თბილისის ამჟამინდელი კომენდანტის — ალი ყული-ხანის დიდი დამსახურებაა.

**სუქნა პუტკუნია: ეხლახანს თელავში ჩამოფრინდა თანამეგობრობის ქვეყნების დირექტორის მოადგილე, ბ-ნი მორდენა ბაზარსკი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა გამართოს თქვენსა და შემოსეულთა სარდალ — მაჰმად-ხან ნიკოლაევს შორის, რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?**



პრეზიდენტი: მადლობა ამ შეკითხვისათვის, ჩემო სუქნა!.. ბ-ნი მორდენა ჩემი ძველი მეგობარია, რომელიც დაინტერესებულია კახეთიდან დაღესტანში ახალი სპირტსადენი ტრასის მშენებლობით, ამიტომაც იკისრა შუამავლის ფუნქცია. რაც შეეხება ბ-ნ მაჰმად-ხან ნიკოლაევს, იგი გამოცდილი სარდალი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია, რომელიც თანახმაა სცნოს კახეთის დამოუკიდებლობა გომბორს აქეთ, რაც ჩვენი დიდი გამარჯვებაა! აქვე უნდა ვთქვა, რომ მე პირდაპირ მაკვირვებს ჩვენი ზოგიერთი ადგილობრივი მასშტაბის პოლიტიკოსის გამოსვლა, რომლებიც ჩემს გადაყენებას მოითხოვენ და ამით ალიანსში შედიან დამპყრობლებთან. უფრო მეტიც, ისინი სისხლისღვრისა და დესტაბილიზაციისკენ მოუწოდებენ ჩვენს მრავალრიცხოვან, შესანიშნავ ლტოლვილებს, ნუთუ აღარ ეყოთ მათ ამდენი უბედურება? მე პრინციპულად მივმართავ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რათა ხალხის სამსჯავროზე გამოიყვანონ ეს ვაი პოლიტიკოსები. დღესაც მიმაჩნია, რომ — აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლისა და თბილისის მშვიდობიანი დატოვების გადაწყვეტილება სწორია! ჩვენ უნდა გადაგვერჩინა კახეთის ძირძველი მოსახლეობა და არ დაგვეშვა ომი, არ ჩავბმულიყავით ფართომასშტაბიან პროვოკაციაში, რისთვისაც საქართველო ჯერჯერობით მზად არ არის. შესრულდა თუ არა სხვა ძირითადი, რასაც მიზნად ვისახავდით? — რასაკვირველია, შესრულდა!

**სუქნა პუტკუნია: ბ-ნო პრეზიდენტო, როგორ შეხვდა კახეთი ლტოლვილებს?**

პრეზიდენტი: მე მინდა განსაკუთრებული სითბოთი მოვიხსენიო კახეთის ადგილობრივი მმართველობა და მისი თავკაცი, რომელმაც შეუძლებელი შესძლო, გულში ჩაიკრა და თავისი ნოყიერი ძუძუ აწოვა მედეას ქვეყნიდან ლტოლვილებს. ამაღელვებელი იყო თბილისელი დევნილების დაბინავების პროცესიც, ისინი ხომ კვლავ გაგებით ეკიდებიან თავიანთი საყვარელი პრეზიდენტის ბრძნულ გადაწყვეტილებას. მათ შესანიშნავად იციან, რომ გადამწვარი თბილისი მომავალში აშენდება, მაგრამ მსოფლიო მასშტაბის პრეზიდენტი შეიძლება მომავალში აღარ ჰყავდეთ. ამიტომაც დავავალე მე თბილისის ლტოლვილ მერს გვრიტიშვილს, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს ამ გაწამებული ხალხის მიმართ... მართალია, ამ ბოლო ხანებში ადგილი აქვს თბილისელ ლტოლვილთა მიერ საბავშვო ბაღების, სკოლების და ღვინის ქარხნების თვითნებური დაკავების ფაქტებს, მაგრამ იმედია, ჩვენი შესანიშნავი პოლიცია დროულად ჩაერთვება ამ საქმეში და აღკვეთს ამ უმსგავსოებას.

**სუქნა პუტკუნია: მადლობა ინტერვიუსათვის, იმედია, მალე თბილისში დავბრუნდებით! დაბოლოს კიდევ ერთი. — ალბათ, შორს აღარაა ის დღე, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღსდგება! ამის მტკიცე გარანტიაა ჩვენი შეუცვლელი პრეზიდენტი. მისი შორსმჭვრეტელი და შეუმცდარი პოლიტიკური კურსი. ხელმოცარული ოპოზიცია, რომელიც ამ ერთადერთ საყრდენს აცლის ქვეყანას, უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს! დღეს სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნება კახელ მემინდვრეთა კავშირის გაფართოებული სხდომა. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ლტოლვილთა სიჭარბის გამო — ღვინის, ვენახისა და ბაღების გაჩანაგების შემდეგ, მხოლოდ მინდორშიღა იგრძნობა შრომითი აღმავლობა — მაშ ყველანი პრეზიდენტის მხარდასაჭერად!!! კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ინტერვიუსათვის, ბატონო პრეზიდენტო.**

ი. ჭავჭავაძის საზოგადოების პრესცენტრის მომავალი ახალი ამბების სააგენტო (მაას)
19. 06. 2001 წ.

# დღეს საქართველოს მოსახლეობა მზად არ არის დემოკრატიული, თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების ჩასატარებლად

მესამე გვერდიდან

ხელისუფლებას თავის მოქმედებაში ანგარიში მოსთხოვოს.

როგორ ვებრძოლოთ ჩვენში შექმნილ ქაოსს? არის ერთი უბრალო საშუალება, — დავამყაროთ წესრიგი. წესრიგის დამყარებას უნდა დავუთმოთ მეტი ყურადღება, მეტი დრო და ეს უნდა ვაკეთოთ მუდმივად.

წესრიგის დამყარება ქვეყანაში უნდა დაიწყოს იმით, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს პიროვნების დამადასტურებელი საბუთი. როგორც 23 ივნისის გაზეთ „საქართველოს" ნომერში მოგახსენებდით, მოსახლეობის უმრავლესობას პიროვნების დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია. საჭიროა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გამონახოს საშუალება ან სთხოვოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა დროულად და აუცილებლად დაფინანსდეს მოსახლეობისათვის პიროვნების დამადასტურებელი საბუთის უსასყიდლოდ უზრუნველყოფა. რადგანაც სწორედ უსახსრო, ღარიბ მოქალაქეებს სოფლად თუ ქალაქად არა აქვს საშუალება მისი აღების. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება დიდად მოიგებს, თუ ამ ნაბიჯს დროულად გადადგამს, რადგან მისდამი დაკარგული მოსახლეობის ნდობა გაიზრდება.

მე მგონი, ბევრი თანამოაზრე მეყოლება იმ საკითხში, რომ არჩევნებისათვის უნდა მოვემზადოთ. ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამა ტელევიზიაში სამთავრობო არხზე და სასურველი იქნება კომერციულ არხებზეც; კარგი იქნება გამოიყოს დრო, მოინახოს ფორმა, რომ მოსახლეობას ქართულ-აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე საინტერესოდ და პოპულარულად, (ზოგჯერ თამაშების სახითაც) მიეწოდოს არჩევნების არსი და მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ ინგლისში სკოლაში ასწავლიან არჩევნებს, როგორც საგანს.

თუ სკოლაში საგნად არ ვსწავლობთ, ზედა კლასებში მაინც ჩატარდეს სემინარები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში დემოკრატიული პრინციპების დანერგვას.

გამოიცეს პატარა პოპულარული ბუკლეტები, არჩევნების არსისა და მნიშვნელობის შესახებ, და უფასოდ დაურიგდეს მოსახლეობას. ამაზე ცხადია, როგორც მთავრობამ, ასევე მეცენატებმა უნდა იზრუნონ.

რაც მთავარია, ეროვნული თანხმობის მისაღწევად აუცილებელია სამართლიანობა. მთავარია შევქმნათ მექანიზმი, რათა იყოს რაც შეიძლება მეტი, საზოგადოებაში არსებული „ოქროს ფონდი" — ჩვენი ქვეყნის ფასდაუდებელი საუნჯე: განათლებული, პროფესიონალი, ზნეობრივი, ენერგიული, გონიერი ადამიანები — მამაკაცები თუ ქალები, ახალგაზრდები თუ ჭარმაგები, ზვიადისტები თუ შევარდნაძისტები, წითლები თუ მწვანეები, სტალინელები თუ მონარქისტები, დემოკრატები თუ კონსერვატორები და სხვანი და სხვანი — რომელთაც ერთი მიზანი აქვთ:

დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა, ეროვნული თანხმობა, ტერიტორიული მთლიანობა, მეურნეობრიობის აღორძინება — ჩაერთოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში.

აი, ეს არის ყბადაღებული კორუფციის მინიმუმამდე დაყვანის საშუალება.

სამართლიანობის და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის კონსტიტუციის მესამე თავში და საქართველოს პარლამენტის არჩევნების კანონის 54-ე მუხლში შესატანია შესწორებები ან დამატებები.

კონსტიტუციის მესამე თავის, მუხლი 50, §2-ში და პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის 54-ე მუხლში ნათქვამია:

პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.

რას ნიშნავს ეს? მოდით, დავფიქრდეთ:

1) დღეს რეალურად 75



პოლიტიკური პარტიაა. ვთქვათ, ყველამ მოინდომა (თუ საჭიროა, შეაგროვა 50000 ხელისმოწერა) არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც 50 პარტიამ (რაც 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებმა ნათლად დაგვანახა). ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ამომრჩეველთა ხმები ნაწილდება 50 სუბიექტს შორის. ადვილი შესაძლებელია, რომ ვერც ერთმა პარტიამ ვერ მიიღოს 5%-ი. რას ვშვრებით ამ შემთხვევაში? ე. ი. საჭიროა არჩევნების ხელახალი ჩატარება? ეს არსად არ არის განმარტებული.

2) შეიძლება მხოლოდ ერთმა პარტიამ გადალახოს 5%-იანი ბარიერი. ვთქვათ 7-10%. ეს იმას ნიშნავს, რომ პროპორციული სისტემით მთლიანად 150 დეპუტატი ერთი პარტიიდან იქნება ანუ პარლამენტის უმრავლესობა გამოხატავს ამომრჩეველთა უმცირესობის 17-10%-ის ინტერესებს. ხომ შესაძლებელია, რომ ამ პარტიამ, მაჟორიტარული წესითაც გაიყვანოს თავისი დეპუტატები. გამოდის, რომ პარლამენტართა აბსოლუტური უმრავლესობა ერთი პარტიის წევრები იქნებიან, ყველა კანონი თუ გადაწყვეტილება ქვეყანაში მათი მოსაზრებების საფუძველზე მიიღება ე. ი. რეალური საშიშროებაა ისევ ერთპარტიული სისტემის გაბატონებისა ქვეყანაში.

უკეთეს შემთხვევაში, საარჩევნო ყუთებთან მოხდება ფალსიფიცირება (რისი დიდი გამოცდილება და შესაძლებლობა ჩვენში დღეს არსებობს) და მოლაპარაკებებისა და გარიგებების შედეგად, მთელი საზოგადოების საზიანოდ, დემოკრატიის გათამაშება და პოზიცია-ოპოზიციის 2-3 პარტიის გამარჯვება. დამერწმუნეთ, ასეთი სიტუაცია რეალურია და გამოიწვევს ერის კიდევ უფრო გათიშვას, გახლეჩვას, საერთო უკმაყოფილებას, წინააღმდეგობისა და დაძაბულობის გაზრდას ქვეყანაში.

დღეს საქართველოს პარლამენტში პროპორციული მეთოდით ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 37%-ია წარმოდგენილი ანუ ამომრჩეველთა უმცირესობა ე. ი. თავისი ინტერესების გამომხატველი და დამცველი წარმომადგენელი არა ჰყავს, ანუ პარლამენტი არ გამოხატავს ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესებს.

გარდა ამისა, დღეს პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა მცირე რაოდენობა არ შეესაბამება იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც არჩევნების დროს იყო ჩვენს ქვეყანაში. (ალბათ, დღევანდელი საპარლამენტო კრიზისის მიზეზი აქ უნდა ვეძებოთ).

გამოდის, რომ 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგები არ არის დემოკრატიული.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარლამენტში მოხვდეს ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა (თავიანთი წარმომადგენლების სახით) ე. ი. არანაკლებ 51%-ისა, რაც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციაში და კანონში პარლამენტის არჩევნების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია კონსტიტუციაში და კანონში პარლამენტის არჩევნების შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

„პარლამენტის ლეგიმიტიზაცია მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ კი მასში არჩეულია ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობის არჩეული (51%— მეტი) წარმომადგენლობა.

მაშინ გაიზრდება პარლამენტის პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, მისი ხარისხი. ასეთი პარლამენტი აირჩევს ისეთ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც იბრძოლებს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებისათვის.

აი, აქ კი უნდა ვეძებოთ კორუფციის შემცირების რეალური გასაღები.

პოლიტიკურ გაერთიანებას „ქალთა დაცვის კავშირი" აქვს თავისი მოსაზრებანი 5%-იანი ბარიერის შესახებ კონსტიტუციაში და პარლამენტის არჩევნების კანონში შესწორებებისა და დამატებების შესახებ.

ვიმედოვნებ, ამ საკითხით დაინტერესდება ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, რომელთანაც მზად ვართ კონსტრუქციული დიალოგისათვის, რათა ეს შესწორებები და დამატებები წარედგინოს პარლამენტს.

**ნარგიზი გვალია**
პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირის" თავმჯდომარე, საქართველოს ბიზნესმეცოდნეობათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

მესამე გვერდიდან

ებ, არ არის ცივილური ქვეყანა, ამიტომაც ხდება ასეთი რამეები. აქედან ლოგიკური დასკვნა: რას გააკეთებდა ქვეყნისთვის სასიკეთოს ხაზინაში ხელნაფათურები პარტია? არც არაფერს! ყველაფერ ამის ფონზე კი საკმაოდ ბუნებრივად გვეჩვენება მოქალაქეთა მარცხიანი ნაბიჯები ქვეყნის მართვის საქმეში, ის უძირო კორუფცია, რაც ჩვენშია დღეს გამეფებული, დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო, ათიათასობით დევნილი, გალის ტრაგედია, დაქცეული ეკონომიკა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მასობრივი უმუშევრობა და სილატაკე. ხოლო 2 მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო ვალი, რომელიც ამ ხელისუფლების ხელში დაგვედო კისერზე, რას მოხმარდა, კაცმა არ იცის და იგი ჩვენ შვილთა და შვილიშვილთა გადასახდელია.



რა თქმა უნდა, ნორმალურ ქვეყნებში არათუ ამდენი უბედურებების ქვეყნის თავზე დატეხის შემთხვევაში, არამედ ერთი პატარა სკანდალური ფაქტის გამოც კი მთავრობა თავის მმართველ პარტიასთან ერთად გადადგებოდა, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება და მეტიც, მმართველ პარტიას ყოფნის იმისი მორალური გამბედაობაც, რომ ამ დაქცეული ქვეყნის გამათხოვრებულ მოსახლეობას კვლავ მი-

## ვის ფქვილი, ვის ფოჩიანი კამფეტი, ვის კიდევ მუშტი, ანუ იქნება კი 30 წელი მმართველი პარტია ქვეყნის სათავეში?

მართოს დემაგოგიური განცხადებებით და საკუთარ ნამოქმედარზე პასუხისმგებლობა ვილაც, არარსებულ ძალებს გადააბრალოს.

საქართველოში დღეს ბევრმა იცის (ქვეყანა ჩალით არაა დაფარული), რომ მოქკავშირს დიდძალი ფული აქვს. რა თქმა უნდა, ეს მოარული ხმებია, მაგრამ პარტიას, რომლის მფარველობის ქვეშ, როგორც ამბობენ, მოქმედებს ნაყინის ფირმა „სამგორი" და ალბათ, სხვა მსხვილი ფირმები თუ ბანკები, ფული რომ ქონდეს, არაა გასაკვირი. აქედან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირი, რომ მოქალაქეთა გუნდი, საკუთარი ფინანსური სიძლიერის კიდევ უფრო განმტკიცების მოზნით ისეთი დარგების ხელში ჩაგდებას ცდილობს, საიდანაც გვარიანი შემოსავალი ექნე-



ბა, ანუ იკვეთება აშკარა ტენდენცია იმისა, რომ ყველა საკვანძო თანამდებობა და შემოსავლიანი სტრუქტურული თუ კომერციული რგოლი მმართველი პარტიის ხელში მოექცეს და ამიტომაც, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ უკანასკნელის ლიდერთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეს პარტია მინიმუმ 30 წელი იდგება ქვეყნის სათავეში.

ძვირფასო მკითხველო! თუ დაკვირვებიხართ ამ ბოლო ხანს ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე და ტელეარხებზე ერთ-ერთი უწყების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიებს და მერე მათ მიმართ მოქკავშირული პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის განცხადებებისათვისაც მიგიგდიათ ყური, ადვილად შეამჩნევდით, რომ ეს ორი მოვლენა ერთი ჯაჭვის ორი ბოლოა, რომლის შუაშიც იკვეთება აშკარა განზრახვა, — კიდევ ერთი, მათი აზრით, შემოსავლიანი და პერსპექტიული დარგი მოიგდონ ხელში, დასვან იქ თავისი კაცი და გარკვეული შემოსავალი პარტიის ხაზინაში გადაქაჩონ. ყოველ შემთხვევაში, მე, როგორც ჟურნალისტს და ამ შემთხვევაში, მოქალაქეს, ასეთი ეჭვი მიჩნდება და ვფიქრობ, ბევრი დამეთანხმება, რომ შესაძლოა ეს ასეც იყოს.

არადა, ასე რომ არ იყოს, მაშინ რას უნდა ერჩოდნენ იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც, ფაქტიურად, განადგურებული და მოშლილი სისტემა აალორძინეს, საათივით ააწყვეს და თანამედროვე სტანდარტების დონეზე დააყენეს, მით უფრო, რომ რამდენადაც ვიცით, ამისთვის ხაზინაში ხელი არ უფათურებიათ, კრედიტები არ აუღიათ, ჯართი და ხე-ტყე უცხოეთში არ გაუყიდიათ, სიგარეტების ბიზნესი არ უკეთებიათ და არც ნავთობპროდუქტების კომერციაში უტრიალიათ. მოქკავშირი რომ ეროვნული პოზიციების განსამტკიცებლად იბრძოდეს, მაშინ, პირველ რიგში, ხე-ტყის, ჯართის, წიაღისეული სიმდიდრეების გატანის საქმეს უნდა სწავლობდეს და ქვეყნისთვის მომაკვდინებელ „ბიზნესში" ჩართულ მაფიოზურ ძალებს უნდა ებრძოდეს.

მმართველი პარტია, ჩვენდა სამწუხაროდ, ამას არ აკეთებს და ალბათ, ვერც აკეთებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც იტყვიან, ჯერ საკუთარ „ბოსტანში" უნდა გადაიხედოს. მე კი ერთს დავძენ მხოლოდ: ამქვეყნად უკვალოდ არაფერი იკარგება და მმართველი პარტიის ნამოქმედარ-ნალვაწის კვალიც უსათუოდ დარჩება. დარჩება, როგორც კლასიკური მაგალითი უნიჭო, უგულო და რაც მთავარია, ფსევდოპატრიოტული მმართველობისა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ დღევანდელი შთაბეჭდილება ამ პარტიის მოღვაწეობის შესახებ ნამდვილად ასეთი მაქვს.

**სერგო ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გულაბერ კლარჯი

# არსებობს დღეს ქართველი ერი?

ქართველ კაცს აქვს ამ საკითხის დასმის უფლება? როდესაც უცხოელები, არაქართველები ამბობენ ამა თუ იმ სახით იგივეს, ეს ქართველთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს. როგორ, ჩვენ სამიათასწლოვანი ისტორია გვაქვს, ჩვენმა წინაპრებმა რამდენი იომეს, რამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანეს საქართველოს, ქართველი ერის გადასარჩენად და დღეს ვისა აქვს უფლება ქართველი ერის არსებობის საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენოს. ცხადია, მე მესმის, რომ „ქართველი ერი" ათასწლეულთა განმავლობაში დამკვიდრებული წმინდა ცნებაა და დღეს მის არსებობა-არარსებობაზე ლაპარაკი შეიძლება მკრეხელობად ჩამეთვალოს, მაგრამ როცა ჩვენს თვალწინ ბილწავენ, აუპატიურებენ ქართულ სალოცავებს, ქართულ მიწა-წყალს, როცა ამდენი ვილაპარაკეთ აფხაზეთში ქართველთა დაბრუნებაზე და ახლა გალიდანაც გამოგვყარეს, ხოლო ამ დროს ქართველთა უმრავლესობა ან აქ ერთობა სულელური უცხოური ტელესერიალებით და ფეხბურთით, ან უცხოეთში ეძებს კარგ ცხოვრებას, კეთილდღეობას და თითქმის არაფერი კეთდება, რათა მტერს საკადრისი პასუხი გავცეთ, შეიძლება კაცს მკრეხელური კითხვებიც აწვალებდეს. შემინდოს ღმერთმა და ჩვენი წინაპრების სულებმა!

ეს მტანჯველი კითხვა უფრო კონკრეტულად ასე მინდა დავსვა: ამჯერად XIII საუკუნემდელ საქართველოზე საუბარს თავი დავანებოთ, XIII-XIX სს-ის (XX ს-ის დასაწყისის ჩათვლით) ქართული საზოგადოებრიობის პროგრესული, ჯანსაღი ნაწილი გავიხსენოთ. მადლობა ღმერთს, ისეთი მნიშვნელოვანი [illegible] არულებდნენ საქართველოს [illegible] ცხოვრებაში. საქართველოს ამ ქაოსურ [illegible] სიავის, უსაშველო, გაუთესავეელი ლამის გმირი თაობების, ნატანჯი თაობების ტრადიციებს დღეს ღირსეულად აგრძელებს ქართველი ხალხი?

ისტორიის შელამაზება საჭირო არ არის. ქართველი ერის თავგადასავალი იმდენად მრავლისმეტყველია, რომ მისი წარმოჩენა შელამაზების გარეშე მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს და ქვეყანას. XIII-XIX სს-ის საქართველოში არაერთი მანკიერება არსებობდა. იყო ძმათამკვლელი შინაომებიც, ქართველი ქართველს ტყვეებადაც ყიდდა, ძალიან დიდხანს შემორჩენილ ბატონყმობის ჟამს იყვნენ მრისხანე, თითქმის გაპირუტყვებული ბატონებიც, მაგრამ ქართველი ერის პროგრესული, ჯანსაღი ნაწილი გამუდმებით ებრძოდა ჩვენში ფეხმოკიდებულ სხვადასხვა სენს. ცნობილია, თუ როგორი შეუპოვრობით იბრძოდნენ საქართველოში ტყვის სყიდვის წინააღმდეგ, როგორ ესარჩლებოდნენ მეფეები არჩილი და ერეკლე II გლეხებს და ა. შ. ძირითადი ბრძოლა მაინც გარეშე მტრის წინააღმდეგ იყო მიმართული. აღნიშნული სენის საქართველოში დანერგვას, გავრცელებასაც უმეტესწილად გარეშე მტერი უწყობდა ხელს. ბატონყმობის დიდხანს შემორჩენაც განაპირობა იმ ჯოჯოხეთურმა გეოგრაფიულმა გარემომ, რომელშიც არსებობდა და ქვეყნის გადასარჩენად თავგანწირვით იბრძოდა ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში.

საქართველოში რუსეთის გაბატონებამ ქართლის ჭირი კიდევ უფრო მეტად გაამწვავა, გააღრმავა. ილიამ და მისმა თანამოსაგრეებმა თავდადებული წინაპრების მსგავსად, საკადრისად იბრძოლეს, რათა ახალ, შეცვლილ ვითარებაში დაღუპვისაგან გადაერჩინათ სამშობლო, ქართველი ერი. დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. მაგრამ მალე მსოფლიოს მოევლინა ახალი ჭირი, ბაცილა — მარქსიზმი. იგი (კერძოდ, მისი რუსული ნაირსახეობა) განსაკუთრებით დამღუპველი გამოდგა რუსეთის იმპერიაში მოქცეული პატარა ერებისათვის, სახელდობრ, ქართველი ერისათვის. მარქსიზმის დროშით მოსულმა წითელმა რუსულმა იმპერიამ სტალინის პირით გადმოისროლა ლოზუნგი — წალმა-უკულმა გადავხნათ რუსეთის ურჩი საქართველო. გადახნეს კიდეც. საბჭოთა პერიოდში ქართველები ან გაწყვიტეს, ან მათ უმრავლესობას ფსიქიკა შეუცვალეს, ქართველი თავისი სამშობლოს ბედისადმი, საქართველოსადმი გულგრილი გახადეს.

თუ როგორი განსხვავებაა დღევანდელ ქართველთა უმრავლესობასა და ჩვენს წინაპართა თაობებს შორის, ამის ნათელსაყოფად ზოგი რამ გავიხსენოთ წარსულიდგან. ცნობილია, თუ როგორი სისასტიკით ცდილობდნენ თემურ-ლენგის ურდოები საქართველოს ალგვას პირისაგან მიწისა. თემურს უნდოდა მთელი კავკასიის გამაჰმადიანება, მან გაავრცელა კიდეც ისლამი კავკასიის ერთ ნაწილში (კერძოდ, დაღესტანში). რაკი ქართველები ამაზე უარს აცხადებდნენ (იმ დროისთვის ქართველობა და ქრისტიანობა, სახელდობრ, მართლმადიდებლობა ხომ სინონიმებს წარმოადგენდნენ), მტერმა მანამდე გაუგონარი, არნახული მეთოდები გამოიყენა საქართველოს „მოსარჯულებლად". თემურ-ლენგს ისიც მოეხსენებოდა, რომ ქართველმა ერმა გაუძლო მონღოლთა ბატონობას. უფრო მეტიც, მონღოლების განდ[illegible] [illegible] [illegible]ელები დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველოს აღდგენასაც შეუდგნენ. ამდენად, თემური დარწმუნებული იყო, რომ განსაკუთრებული დაუნდობლობით, სისასტიკის გარეშე, საქართველოში თავის გეგმას ვერ განახორციელებდა. რა უნდა ექნათ ასეთ ვითარებაში ქართველებს? თემურისადმი დამორჩილება ნიშნავდა, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი სავსებით გათათრდებოდა, გადაჯიშდებოდა, გადაშენდებოდა. ამიტომაც ქართველებმა უთანასწორო ბრძოლაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს. მართალია, საქართველო დაიჩეხა, დასახიჩრდა, მაგრამ დიდი ვაჟკაცობის, შემართების, სისხლისღვრის ფასად გადარჩა. თუ საქართველომ დღევანდელი გზით იარა, განა ქართველ ხალხს ერთ საუკუნეში გადაშენების საფრთხე არ დაემუქრება? იქნებ უფრო ადრეც მოხდეს ეს! დღეს ქართველთა უმრავლესობა ვილაც არძინბასა და ჩიბიროვის სახელების გაგონებაზე, მათი სურათების დანახვაზე ლამის შიშისაგან ცახცახებს და თავის დასამშვიდებლად უცხოურ ტელესერიალებს და ფეხბურთს უყურებს. მართალია, არძინბას და ჩიბიროვის ზურგს უკან რუსეთი და სხვა ძალებიც დგანან, მაგრამ ქართველთა უმრავლესობამ, კერძოდ, ახლანდელი ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმაც დღემდე ვერ შეისისხლხორცა აზრი, რომ რუსეთი საქართველოს დაუძინებელი მტერია, ამდენად, ჩვენი ხალხის წარმოდგენაში ქართული მიწა-წყლის მიმტაცებელი და მტერი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ არძინბა და ჩიბიროვია, მაშასადამე, ხალხში პანიკის გამომწვევიც, ძირითადად სწორედ ისინია.

ქართველი მემატიანის, ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, თუ XVI ს-ში „მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა ჰრა ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ (მაჰმადიანი — ა. ა.) და, რაოდენნიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხმლისა მისისაგან არიან." ცხადია, ბრძოლის ველზე დაცემული ლუარსაბი ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ ქვეყნის თავკაცის პირად ღირსებებსაც რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ესეც უდავოა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენი მემატიანე აზვიადებს ლუარსაბისა და მისი მეომრების ღვაწლის წარმოჩინებას. ჯერ ერთი, უცხოური წყაროების შესწავლითაც სწორედ ასეთი შთაბეჭდილება რჩება. მეორეც, ქართული მატიანე კიდეც რომ აზვიადებდეს, ქართულ თქმულებებს ემყარებოდეს, რაკი ამგვარი გადმოცემა XVIII ს-ის დამდეგს სამეფო კარის ნებით შეიტანეს ქართველთა წმინდა, პატიოსან წიგნში, „ქართლის ცხოვრებაში", რაკი თვით ბერი ეგნატაშვილი ვახტანგ VI-ის დავალებით საქმიანობდა, ეს იმას ნიშნავს, რომ XVIII ს-ის დამდეგსაც ხელისუფლება თვითონაც ემზადებოდა და ხალხსაც ამზადებდა, წინაპართა საგმირო საქმეებით ამხნევებდა ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელი ახალი ომებისათვის. დღეს ხელისუფლება ხალხს ამზადებს იმისათვის, რომ მან მტერს საკადრისი პასუხი გასცეს? ეს არ ჩანს! დაკარგული მიწა-წყლის მშვიდობიანი გზებით დაბრუნებაზე გაუთავებელი ლაპარაკი ხალხის ნებისყოფას ადუნებს, მაშინ, როდესაც აუცილებელია ხალხის ნებისყოფის გაკაჟება, ნებისმიერი მტრის, თუნდაც რუსეთის წინაშე შიშის გრძნობის დაძლევა. დავით აღმაშენებელი მშიშარა მეომრებს საჯაროდ არცხვენდა, ქალის კაბას აცმევდა. დღესაც თუ რაღაც ამის მსგავსი არ მოხდა საქართველოში, XX ს-ში, საბჭოთა პერიოდში ფსიქიკა გამოცვლილმა ქართველმა თუ არ დაიბრუნა წინაპრებისეული მხნეობა, შემართება, სულისკვეთება, მდუღარებაი სულისაი, გიორგი ლეონიძის გოდება მოგონილი იქნება იმასთან შედარებით, რაც ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, იმ ქართველებს მოუწევთ, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩებათ ქართული სული. გ. ლეონიძე კი თავის ერთ მოთხრობაში ასე გოდებდა: „ვაი, მამულო, ნაჭინრნახულევო, სისხლით შელებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყვექმნილო, იავარქმნილო, ვაი — ძნელბედო, ვაი მამულო, გასამედებულო!" ქართველები თავდაუზოგავად იბრძოდნენ და მაინც ამდენი მიწა-წყალი დავკარგეთ და თუ ისე გავაგრძელეთ ცხოვრება, როგორც დღესაა, რა ხეირი დაგვეყრება? აკი ჩვენს თვალწინ იკარგება ქართული სისხლით, ქართველთა ძვლებით გაჟღენთილი, გაპოხიერებული აფხაზეთი და სამაჩაბლო. დაკარგვის საფრთხე ემუქრება შოთა რუსთაველის მშობლიურ მხარეს, ჯავახეთსაც. უკვე დღეს იქ ქართველი კაცის, მით უფრო, პატრიოტის ჩასვლა სახიფათოა. არადა, ხომ კარგადაა ცნობილი, როგორ იქცა რუსეთის იმპერიის ნებით ქართული ჯავახეთი სომხურ მხარედ. დამპყრობლის მიერ ჩადენილი უსამართლობა ბოლოს და ბოლოს არ უნდა აღმოვფხვრათ?



რაც თემურ-ლენგს გადაურჩა საქართველოში, იმის მოსპობა პირსისხლიანმა შაჰ-აბასმა განიზრახა. თითქმის გაასწორა კიდეც საქართველო მიწასთან. მის მიზანსაც. ის შეადგენდა, რომ მოესპო ქართული სახელმწიფოებრიობა და საქართველოში ქართველების ნაცვლად თავისი თვისტომი დაესახლებინა, რაც ქართველებმა შაჰ-აბასობის ჟამს ტანჯვა-წამება გადაიტანეს (გავიხსენოთ კახელების აყრა და ირანში გარეკვა, ქეთევან დედოფლის წამება და მრავალი სხვა), საკვირველია, რა ძალამ შეაძლებინათ შაჰ-აბასის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა ან სულ მალე ბახტრიონის აჯანყების მოწყობა. ბახტრიონის ომში ქართველებმა თავის დროშას სისხლით დააწერეს: „თათრებს კახეთში რა უნდათ, ქართველთა მიწა-წყალზედა." ქართველთა შემწყნარებლობა საყოველთაოდ ცნობილია და თუ თათარი სამოყვროდ, სტუმრად მოვიდოდა, მაშინ ამასაც ამბობდა ქართველი — „თათარიც ჩვენი ძმა არი." მაგრამ XVII ს-ში სხვა გზა აღარ იყო — კახეთიდან უნდა ამოეძირკვათ თათართა სახსენებელი. ერთი შეხედვით, ქართველებს მეტისმეტი სისასტიკეც გამოუჩენიათ: ბახტრიონიდან გამარჯვებული ქართველები „ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყვნენ, თათარნი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა და ამოსწყვიტეს დედაწულითურთ და, აკუანში რომელნიც ყრმანი იწვნენ, იგინიცა დახოცნეს"... იმ მომენტში ქართველები ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, კახეთს სამუდამოდ დაკარგავდა საქართველო ისევე, როგორც მისი მომიჯნავე საინგილო და არაერთი სხვა მხარეც დაკარგა. ამდენად, ქართველი ხალხის რისხვა ამ შემთხვევაში სამართლიანია. ჩვენი ხალხის ამგვარი სამართლიანი რისხვის გარეშე დღესაც ვერაფერს გავხდებით. თუ ჩვენს ხელისუფლებას თავში ოფოფები ყავს, ხალხმა უნდა იზრუნოს თავისი მრავალტანჯული სამშობლოს გადასარჩენად, ხელისუფლება უნდა აიძულოს ან გადადგეს, ან ქვეყნის, ერის სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზე დადგეს. რაკი კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში ეს არ ხდება, ამიტომ დგება დღეს ეჭვის ქვეშ ქართველი ერის არსებობა.

70-80-იანი წლების ეროვნულმა მოძრაობამ შვა იმედი ქართველი ხალხის გამოფხიზლებისა, მაგრამ შიდა და გარე რეაქციულმა ძალებმა ქართული ეროვნული მოძრაობა ჩანასახშივე მოახრჩვეს. მართალია, ეროვნულ მოძრაობას ბევრი ნაკლიც დაჰყვა, მაგრამ მთელი ერის ძალისხმევით უნდა მომხდარიყო მისი გაჯანსაღება. სამწუხაროდ, მოვლენები სულ სხვა გზით წარმართეს.

საქართველოს მენშევიკური, მარქსისტული მთავრობა არ იყო ეროვნული ხელისუფლება. პატრიოტი ქართველები მათ წარსულის გამოც ვერ ენდობოდნენ. მენშევიკების ხელიც ხომ ერია ილიას მკვლელობაში. ყოველ შემთხვევაში, თვით ნოე ჟორდანიაც ხომ ილიას რეაქციონერად მიიჩნევდა. ღვთის მადლით, ისტორიამ უკვე გაარკვია, რომ ილიამ თავისი თავდადებული მოღვაწეობით უდიდესი ამაგი დასდო საქართველოს, მას, ნებსით თუ უნებლიეთ, არც ერთი მცდარი ნაბიჯი არ გადაუდგამს, ნ. ჟორდანიას საქმიანობამ კი ვნება მეტი მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ვიდრე შვება. მიუხედავად ამისა, 1918-1921 წლებში ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მზად იყო მტრისთვის საკადრისი პასუხი გაეცა და ნ. ჟორდანიაც და მისი მთავრობაც ასე თუ ისე აიძულეს, ქვეყნის გადასარჩენად ეზრუნა. თვითონ ნ. ჟორდანია მოგვითხრობს: 1920 წელს აზერბაიჯანის მხრიდან შემოგვიტიესო. ამ საქმეში რუსეთის ხელი ერია, მაგრამ ჩვენში ხმა გავრცელდაო, რომ გვიტევდა აზერბაიჯანელთა ჯარი, აზერბაიჯანის მთავრობის ბრძანებით — „გვარდიელები ყალყზე დადგნენ, როგორ გვიბედავენ ეს „ჩაჩნები" ომსო." სიტყვა ჩაჩანი იმ დროს ჩვენში უარყოფითი, სალანძღავი მნიშვნელობით იხმარებოდა. მსგავსი რამ მომხდარა 1921 წლის დასაწყისშიც, გავრცელებულა ხმა, რომ გვებრძოდნენ არა რუსები, არამედ სომხები და აზერბაიჯანლებიც: „ხალხი აღშფოთებული იყო, როგორ გვიბედავენ ეს გლახაკები თავს დასხმასაო." მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი საქართველო საშინელი წინააღმდეგობებით იყო მოცული და ეროვნულ ძალებს ხელისუფლება დევნიდა კიდეც, ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი არ უშინდებოდა უამრავ „ჩაჩანს", აზერბაიჯანლებსა და სომხებს, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველების დამარცხება სამარცხვინოდ მიაჩნდათ. დღეს კი, ღმერთმა ნუ ქნას და 5000 კაციანმა სომხურმა ჯარმა რომ გამოილაშქროს საქართველოს წინააღმდეგ (ჯავახეთის პრობლემა, სამწუხაროდ, ამგვარ საფრთხეს არ გამორიცხავს) ან ჩეჩნებმა 1000 კაციანი რაზმი რომ მიაშველონ არძინბას, ალბათ მთელ საქართველოს დაიპყრობენ.

დღეს საქართველოში ბევრი ამბობს, საყოველთაოდ, გლობალურ ომში ვერ ჩავებმებით, ჩვენ ხომ კულტურული ხალხი ვართ, ომისთვის არ გვცხელა, ქართული კულტურა, მეცნიერება უნდა განვავითაროთო. ეს თავის მოტყუებაა, თუ უფრო უარესიც არა. რასაკვირველია, ქართველ ერს იყო, რაც წარსულში იომა და მისთვის საქართველოს ჭრილობების მოსაშუშებლად აუცილებელია მშვიდობიანი განვითარება, მაგრამ თუ ქართულ მიწას კი არ გაგვისამედებენ, არამედ გაგვიმეათედებენ და საქართველოსგან აღარაფერს დაგვიტოვებენ, მაშინ რა უნდა ვქნათ? არძინბასა და ჩიბიროვის შიშით დათრგუნული ხალხი ეროვნულ ქართულ კულტურას და მეცნიერებას ვერ განავითარებს. დღეს ქართული კულტურა და მეცნიერება მნიშვნელოვანწილად მაფიის და მათი ამალის ხელთაა. ეს მაფია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მომძლავრდა, როცა ლენინური და კომკავშირის პრემიებიც მოიპოვა, ხოლო ახლანდელი განუკითახობის ვითარებაში, ხელისუფლების თანადგომით ფრთებსაც შლის. იგი ავიწროებს, ცოცხლად მარხავს ეროვნულ, მისთვის მიუღებელ ძალებს. მაფიის კლანჭებში მოქცეული ქართული კულტურა და მეცნიერება კი ვერ იხეირებს, ყოველ შემთხვევაში, იმის მეათედ დონესაც ვერ მიაღწევს, რასაც კეთილსინდისიერი ქართველების რუდუნებით მიაღწევდა. ქართული მაფია ვერც გარეშე მტერს გასცემს საკადრის პასუხს ვერასოდეს. ვინაიდან ქართველ ერს ღმერთმა არგუნა რომ უწინარეს ყოვლისა სამშობლოს გადარჩენაზე ეზრუნა, ხოლო დღეს ქართველთა უმრავლესობა ამ მისიის შესრულებისთვის მზად არ აღმოჩნდა, რადგან იგი ღირსეულად ვერ აგრძელებს წინაპრების, მამა-პაპათა ტრადიციებს და არც საქართველოს მომავალი აღელვებს, ამიტომაც იბადება მტანჯველი ფიქრი, კითხვა: არსებობს დღეს ქართველი ერი?

ქართველი ერი თავისი ხანგრძლივი წარსულის განმავლობაში არაერთხელ აღმდგარა მკვდრეთით. ეს გვაიმედებს, რომ ქართველი ერი კიდევ ერთხელ აღდგება მკვდრეთით, მაგრამ მაშინ მკაცრად მოეკითხება ყველა შინაურ თუ გარეშე მტერს, ვინც მრავალტანჯული საქართველო ნებსით თუ უნებურად, შეგნებულად თუ შეუგნებლად დღევანდელ სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდო!

# შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობთ ვაკეთოთ მაქსიმუმი

ჩვენი რესპონდენტი საჩხერის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი **ცეზარ ლაშხი** თითქმის ხუთი წელია სათავეში უდგას რაიონს.

მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში იყო საშუალო სკოლის მასწავლებელი, საჩხერის რაიონის პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსპექტორი, პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და ა. შ.

ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და სამი შვილიშვილი.

**— ბატონო ცეზარ, რა მდგომარეობაა საჩხერის რაიონში ხელფასებისა და პენსიების გაცემის მხრივ?**

— 1998 წლის იანვარ-თებერვლამდე ხელფასები და პენსიები უკვე გაცემული გვაქვს. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ხალხი მოტყუებული არ დაგვრჩეს. ალბათ, 20 აგვისტომდე შევძლებთ გავისტუმროთ მასწავლებლების ხელფასები და შემდეგ დაგვიანების გარეშე ყოველ თვეში დროულად მოვახდინოთ მათი მიწოდება. რაც შეეხება სამრეწველო ორგანიზაციებს უნდა ითქვას, რომ დატვირთვით მუშაობს სატყეო მეურნეობა, საყალიბე ქვიშების მალაროთა სამმართველო და ეხლახან გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, ავამუშაოთ ღვინის ქარხანა. უნდა ითქვას, რომ ქარხანას გააჩნდა კონიაკის სპირტი რომლის გაყიდვის უფლება დართეს და ამ თანხებით ის მოახერხებს ხუთას ტონამდე ყურძნის მიღებას და ასეთნაირად მოხდება ამ საწარმოს ფეხზე დაყენება.

პერსპექტიულია ცარცის დამუშავება და სატყეო მეურნეობის განვითარება. შესაძლებელია დამუშავდეს ავეჯის დეტალები და ურთიერთობა დამყარდეს სხვადასხვა ქვეყნებთან. ასე, რომ ამ დარგში პერსპექტივა უკვე გამოიკვეთა. იტალიელები აამუშავებენ ცაგერის საამქროს, რომელიც აგისტოს ბოლოსათვის ამოქმედდება. მას ბაზარიც მოპოვებული აქვს, საამქროც მწყობრშია და ხელისშემშლელი თითქმის არაფერი აქვთ.

— 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, ცალკეული სტიქის შედეგად დაზარალებული რაიონებისათვის გამოყოფილია გარკვეული თანხა. ამ მხრივ არც საჩხერე წარმოადგენს გამონაკლისს.

**— რამდენად მიზნობრივად ხდება ამ თანხების ხარჯვა?**

— თუ დავიწყებთ იქედან, რომ 1991 წელს საჩხერეს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს. ამ დროს დაზარალებული 1800 ოჯახი ვაგონებში ცხოვრობს თითქმის შვიდი წელია. ვაგონების ექსპლუატაციის ვადა კი მხოლოდ ორი წლითაა განსაზღვრული. 1993-95 წლებში აბსოლუტურად ყველაფერი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მაგრამ როგორც იტყვიან ყინულის ლოდი უკვე დაიძრა და 1997 წელს, ქვეყანამ საჩხერის რაიონს გამოუყო 230000 ლარი, საიდანაც ათვისებულია 140 ათასი. ამ თანხით გადაიხურა ის კომუნალური საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მიწისძვრამ დაანგრია. წლის ბოლოს ახალმოსახლეობას იზეიმებს სამოცამდე ოჯახი. მოგეხსენებათ, რომ სტიქიას მარტო 1991 წელს არ დაუზარალებია საჩხერის რაიონი. მისი შემოტევა თითქმის ყოველწლიურად აზიანებს სხვადასხვა რაიონებს. მაგალითად ოცდაათ აპრილს კოკისპირულმა წვიმამ 120000 ლარის ზარალი მიაყენა სოფელ სხვიტორს, საირხესა და მთლიანად საჩხერის რაიონს. ჩვენგან ეს მონაცემები წარდგენილია და ალბათ, მოკლე ვადაში გადაწყდება თუ რა სახის დახმარებას გაგვიწევენ. შესაძლებელია ეს თანხა მთლიანად ვერ გამოგვიყონ, მაგრამ პირველად 100000 ლარი ყოველ მიზეზგარეშე უნდა იქნეს გამონახული, რათა მოვახდინოთ წყალსადენის სათავე ნაგებობების და იმ 18 კილომეტრიანი გზის შეკეთება, რომელიც სტიქამ დააზიანა.




სტიქიის შემოტევა ყველაზე ძლიერი მდ. ლუნთურას აუზში გახლდათ და 93 ოჯახი გაავსო ქვა-ღორღით. აქ, შემთხვევის ადგილზე ბრძანდებოდნენ ბატონები: თემურ შაშიაშვილი და ნიკო ლეკიშვილი, მეორე დღესვე გამოიყო თვრამეტი ათასი ლარი; ამ თანხით ნაგებობების განმენდაც მოვახერხეთ და თითოეულ დაზარალებულ ოჯახს ას-ასი ლარიც დავურიგეთ.

**— ბატონო ცეზარ, როგორია ბიუჯეტის შესრულება დინამიკაში?**

— ხუთი თვის მაჩვენებლები ძალიან კარგია, ბიუჯეტის შესრულება გადაჭარბებულია. თუ გასული წლის 5 თვის მაჩვენებელი 197000 ლარს შეადგენდა ეხლა 223452 შეადგინა.

**— ხდება თუ არა რაიონში ხე-ტყის უკანონო ჭრა, რაიონიდან გატანა და რა ღონისძიებები ტარდება ამის თავიდან ასაცილებლად?**

— ჩვენ ვერ წავალთ იმის წინაალმდეგ რასაც კანონი ჰქვია. გასულ წელს, საქართველოს პარლამენტა მიიღო კანონი და ტყის ჭრაზე გამოცხადდა ტენდერი. ჩვენ ღმერთმა დაგვიფარა და საჩხერის რაიონის ტყეებში მხოლოდ ერთი გამარჯვებული ორგანიზაცია შემოვიდა, რომელმაც გასულ წელს 2000 კუბური მეტრი დაამზადა, მაგრამ ის გახმაურებული ამბავი, რომ საჩხერიდან ხე-ტყე გადის, გამოწვეულია ერთი უხერხული მდგომარეობით. თუ საჩხერეზე არ გამოატარეს რაჭის რაიონებიდან ხე-ტყის გატანა ვერ მოხერხდება. ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ ტყეში რაიმე დარღვევა არ იყოს, მაგრამ საჩხერიდან, რომ ხე-ტყე გავიდეს რაიმე დარღვევით ეს გამორიცხულია. იმიტომ, რომ მისი გატანა უნდა მოხდეს რკინიგზით. ყველაფერი ფიქსირდება. ვინც არ უნდა ეძებოს და რამდენიც არ უნდა ეძებოს საჩხერის სატყეო მეურნეობაში ყველაფერი წესრიგშია. მე არ ვიცი ონის რაიონში რა ხდება.

**— ხის მოჭრა უნდა მოხდეს შერჩევით. რა მექანიზმი არსებობს დარღვევების თავიდან ასაცილებლად?**

— რა თქმა უნდა, ნებისმიერ უკანონოდ მოჭრილ ხეზე ისევე აგებენ პასუხს შესაბამისი პირები, როგორც სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის და ა. შ.

მეორეც: როდესაც ხდება ტყის მასივის მასიური გაჩეხვა, ნებისმიერ ხეზე თავისი ნომერი და წელი უნდა ჰქონდეს მიწერილი. ასე, რომ აქ სიყალბე გამორიცხულია.

დღეს ყველას ყველაფერი უკვირს და გაიძახიან ტყე ნადგურდებაო, მაშინ როდესაც 15 წლის წინათ საჩხერის რაიონში 14 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე იჩეხებოდა დღეს მხოლოდ 2000 წელიწადში. ტყე ამით არ განადგურდება, [illegible] როგორც ავადმყოფებს სჭირდება ექიმი, ასევე სჭირდება ტყეს შერჩევით ჭრა.

**— თუ მიეწოდება რაიონის მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებები?**

— მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ლტოლვილები არცერთ რაიონში არ იქნებიან ისეთნაირად უზრუნველყოფილნი როგორც ჩვენთან. დახმარებები სისტემატურად და დაგვიანების გარეშე მიეწოდებათ. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოტანილი იქნა რამოდენიმე ტონა პროდუქტი. სოფლის გამგეობების მიერ წარმოდგენილი იქნა უაღრესად გაჭირვებული ოჯახების სია და ეს პროდუქტი ამისდამიხედვით განაწილდა. წყალდიდობის შემდეგ ოთხმოც ოჯახს მიეწოდა ამერიკული ლოგინები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა. ასე რომ, მრავალი ღონისძიებები იქნა გატარებული ამ კუთხით.

მოგეხსენებათ, ნავთობსადენის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიკის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური კუთხითაც.

საჩხერის რაიონზე გადის ბაქოსუფსის ნავთობსადენი, რომლის სამშენებლო სამუშაოები ეხლა მიმდინარეობს. ჩვენ გახლდით და მოვინახულეთ მშენებარე ობიექტები სადაც ადგილობრივი მუშახელი დასაქმებული საერთოდ არ არის.

**— რა ღონისძიებებს ატარებს ადგილობრივი მმართველობა მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით?**

— ჩვენს რაიონზე გადის ჩვიდმეტი კილომეტრის სიგრძის ნავთობსადენი, რომელსაც განით 60-65 მეტრის ფართობი უკავია. ჩვენ გარკვეული პრეტენზიები გაგვაჩნია მათ წინაშე. მოგეხსენებათ ეს მიწა არის სახელმწიფოსი, რაიონის და ნებისმიერი რამ რასაც გამოიყენებენ ისინი სამაგიეროდ უნდა გადმოგვცეს მათგან გამოყოფილი თანხა. მაგრამ რატომღაც ესენი თანხას უხდიან მხოლოდ კერძო პირებს.

**კობა კაპანაძე**
**სპეციალურად გაზეთ „საქართველოსთვის“**
**საჩხერე**

# საპარლამენტო რეპლიკები

პარლამენტის ვგონებ საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ ბრძანა — დღეს საქართველოში საბანკო სისტემა გამართულად მუშაობს, კომერციული ბანკები თავიანთ ფუნქციას წარმატებით ახორციელებენ, ამაზე




მეტყველებს წლიური 8 პროცენტიანი, 12 და 15 პროცენტიანი გაცემული კრედიტებიო. პარლამენტარი ბესო ჯუღელი გაოცდა, ჩვენს მრეწველთა კავშირში 400-მდე ორგანიზაციაა და წლიური 48 პროცენტიანზე დაბალი კრედიტები ჯერ ვერავის უშოვია, ეგ ციფრები საიდან მოიტანეო.

ჩვენც ვუერთდებით ბატონ ბესო ჯუღელის განცხადებას და ზაზა სიორიძეს ვთავაზობთ გარიგებას — თუ იგი გაგვიჩალიჩებს წლიურ 8 პროცენტიან სესხს ჩვენი მხრიდან შესაბამისი გარანტიით და ბიზნესგეგმით, მაშინ მას ჩვენს პერსპექტიულ და მომგებიან საქმეში წილში შევიყვანთ.

* * *

ამჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა: — ზოგიერთი ოპოზიციონერის მხრიდან აფხაზურ მხარესთან დადებული ჩვენი ხელშეკრულების დისტროფიულ ნაკითხვას აქვს ადგილიო, ე. ი. თუ ამ სამედიცინო ტერმინის რაიმე გაგვეგება, პათოლოგიურად, ე. ი. გარკვეული გადახრებით და დარღვევებით იგებს საკითხის შინაარსსო. ბატონი მინისტრი, როგორც ვიცით, პროფესიით ექიმია და მის პროფესიულ ოსტატობაში ეჭვის შეტანა არ გვინდა, მაგრამ ხანდახან თვით ექიმი ხდება ავად და სამედიცინო ტერმინებით შეფასებას მისი მდგომარეობა მოითხოვს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საგარეო საქმეთა მინისტრის პოლიტიკური თვალთახედვის დასნეულებულ, დისტროფიულ მდგომარეობას; როცა მტერთან სამარცხვინოდ ომის წაგება და კაპიტულანტური უკანდახევა პროვოკაციაზე წამოუგებლობად და ბრძნულ ნაბიჯად ითვლება, საკუთარი მიწა-წყლისათვის პარტიზანული ბრძოლა დივერსიად და ტერორისტულად ფასდება, მრავალწლიანი უშედეგო სამშვიდობო პოლიტიკა კი პერსპექტიულ, იმედისმომცემ ერთადერთ მისაღებ მოქმედებად.

**ბიზნესმენთა თხოვნით**
**გია თვალავაძე**

# დრონი მეფობენ...

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კიდევ ერთხელ იმარჯვა საქართველოში, და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის საზიანო გადაწყვეტილება მიაღებინა საქართველოს ხელისუფლებას. მხედველობაში მაქვს შავი და ფერადი ლითონების ჯართის ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანაზე აკრძალვის კანონის გაუქმება პარლამენტის მიერ. ამიერიდან ნებისმიერ პირს თუ ფირმას კანონის ფარგლებში და როგორც წესი, უფრო მეტად კანონის გვერდის ავლით შეუძლია საქართველოდან თავისუფლად გაიტანოს რუსთავის მეტალურგიული კომბინატისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეული რკინის ჯართის სახით. ამიერიდან აზიიდან დაიწყება ალუმინისა და სპილენძის ელექტროსადენების წყვეტა-გლეჯვა, სპილენძის შემცველი დანადგარების მოსპობა-განადგურება, რაც უფრო სავალალოა, ფულის იოლად შოვნის მიზნით განახლდება სამრეწველო მანქანა-დანადგარების ჯართად ქცევის ქმედებები. გვპირდებიან ასეთი დარღვევები არ მოხდებაო, მაგრამ საკითხავია, ხელისუფალთა რომელი დაპირება შესრულებულა აქამდე, რომ ეს შესრულდეს?

ხელისუფალნი საქართველოს ეკონომიკისათვის აშკარად მავნე გადაწყვეტილების მიღებისას თავს იმართლებდნენ, რა ვქნათ, სავალუტო ფონდი მოითხოვს ჩვენგან ამგვარ ნაბიჯსო. ამგვარ მოვლენაზე ქართველ კაცს მშვენივრად აქვს ნათქვამი: რომ ეთქვათ კლდეზე გადავარდიო, გადავარდებოდიო? თქვე კაი ხალხო! თუ კი თქვენც ხედავთ, რომ მავნეა ქვეყნისათვის ამა თუ იმ კანონის მიღება, რა გაიძულებთ? უბრალო არითმეტიკის ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ გათვალო, რა დახმარებას იძლევა სავალუტო ფონდი და რა ზარალს აყენებს ქვეყანას მის მიერ თავსმოხვეული რეკომენდაციები. განა ძნელი გასარკვევია, რომ სავალუტო ფონდის ბრძანებების მორჩილებამ იგივე საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით ქვეყნის ეკონომიკის ძლიერების საფუძველს, მეწარმეობას ყელში დანა გამოუსვა და სულს ძლივს ღაფავს? ხომ ცნობილია, რომ ერთხელ სავალუტო ფონდის მოთხოვნის უგულვებელყოფა გაბედეთ და შეამცირეთ ალკოჰოლურ სასმელზე დაწესებული 100%-იანი აქციზური გადასახადი, რის შედეგადაც ქართულმა შამპანურმა, ღვინომ, არაყმა და ლუდმა თითქმის მთლიანად გაჰდევნა საქართველოს ბაზრიდან ანალოგიური უცხოურ პროდუქცია ეს კი ნიშნავს ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას და მილიონობით ლარით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას. ქართველი მეწარმეების ხვეწნა-მუდარა, რომ შემცირდეს გადასახადები, რითაც ხელფეხი გაეხსნება ქართულ წარმოებას, რომლის ამუშავებაც შექმნის სამუშაო ადგილებს, მოსპობს სიღატაკეს, შეავსებს ქვეყნის ბიუჯეტს და საერთოდ გააუმჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას ცხოვრების ყველა სფეროში, რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ასეთი პოლიტიკით საქართველო შესაძლოა მართლა უდაბნოდ იქცეს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება უპირველეს ყოვლისა ქვეყნის პრეზიდენტს, მერე საპარლამენტო უმრავლესობას ზურაბ ჟვანიას მეთაურობით, ხოლო შემდეგ ჩაგალსტუკებულ, რეგისტრირებულ მინისტრებს. დრონი მეფობენ და არა მეფენიო, ნათქვამია.

**გია თვალავაძე**

# 31-ე ქარხანასაც გაყიდვას უპირებენ?..

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი პირობა, რომ კერძო საკუთრებაა, ეს ჩვენში უკვე სასკოლო ასაკის ბავშვმაც კი იცის. უფრო მოზრდილებმა ისიც კარგად იციან, თანაც ქართული დღევანდელობის მაგალითზე, რომ კერძო საკუთრების მოპოვების საუკეთესო გზაა პრივატიზაცია. ეს უკანასკნელი კანონმდებლობით დაშვებული ქმედებაა და სათქმელიც არაფერი გვაქვს, რომ არ იყოს ერთი, მეტად უცნაური და საეჭვო გარემოება: საქმე ის არის, რომ მავანნი და მავანნი, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მსხდომნი და მათ ახლოს მდგომნი, ამ ჩვენს ქვეყნულ პრივატიზებას ისე აბამენ ყურს, როგორც თვითონ სურთ. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ვთქვათ, ღირს რომელიღაც ქარხანა ერთი მილიონი ლარი (საბაზრო და რეალური ფასი), ადგებიან და შეაფასებენ, ვთქვათ 100000 ლარად, მერე თვითონვე იყიდიან და ამ გზით კერძო მესაკუთრენი ხდებიან.

ასე და ამგვარი ხერხებით, როგორც მოარული ხმები ამბობენ, ბევრი რამ გაიყიდა საქართველოში, მაგრამ თუ იმავე ბოროტ ხმებს დავუჯერებთ, ეს, სახელმწიფოსთვის საზარალო პროცესი დღესაც გრძელდება და არაა გამორიცხული, ახლო ხანებში ქართული მრეწველობის ფლაგმანი, 31-ე ქარხანაც გაიყიდოსო. ჩვენ არ ვუწყით, ამ ქარხნის გაყიდვაზე მოარული ხმები იქ ხელმძღვანელობის შეცვლამ წარმოშვა თუ სხვა, უფრო სერიოზული საფუძველი არსებობს, მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რომ თავის დროზე შულავერის ტყავის ფაბრიკა ირანელებს მიყიდეს თურმე (რა ფასად, ესეც არ ვიცით) და ამ ფაბრიკაში 12 მილიონის (დოლარის) ღირებულების დანადგარები იყო. ეს დანადგარები ახლა მშვენივრად მუშაობს თურმე ირანში, ჩვენთან კი ტყავის წარმოება მოკვდა (ისევე, როგორც თითქმის ყველა წარმოება) და ირანელი, თურქი თუ არაბი ბიზნესმენი ჩალის ფასად ყიდულობს აქ ნედლეულს (ტყავს), შემდეგ კი ჩვენს ბაზარზე უკვე კარგა ძვირად ჩვენვე გვაყიდებს თავის მზა პროდუქციას.

ისევე, როგორც ფოთის გემთმშენებელი ქარხანა გაიყიდა, თუ ისევ იმ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, შესაძლებელია საავიაციო ქარხანაც გაიყიდოს და საბოლოო ჯამში, მთელი ჩვენი, აქამდე არსებული საწარმო სიმძლავრეები უცხოელთა ხელში აღმოჩნდეს. აქედან შეიძლება ის დასკვნა გაკეთდეს, რომ ხელისუფლება ურყევად ახორციელებს ზევიდან ნაკარნახევ კურსს საქართველოს, „ტრიალ“ მინდორად გადაქცევის მიზნით, ანუ იმ ქვეყნად გადაქცევის გეგმას, რომელსაც საკუთარი არც მრეწველობა ექნება, არც სოფლის მეურნეობა და ვიქნებით იმ გარე ძალებზე და ქვეყნებზე მიბმული მომხმარებლური ქვეყანა, ანუ მათი უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციის ათვისებელ-გამსაღებლები.

ერთი რამ უდავოა: სანამ ეს პრეზიდენტი და მისი საყრდენი მოქკავშირი იქნება ქვეყნის სათავეში. ეს მომაკვდინებელი პროცესი კიდევ უფრო გაგრძელდება და ქვეყანაც მეტად დაიქცევა.

# ტოტო-ლოტო

## ტოტო-ლოტოს მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 28 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, და თანმხლები თამაშის „სუპერ-7“-ის მე-9 ტირაჟის გათამაშება.

**„ლოტო 6-42“**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **4. 16. 18. 28. 31. 38.**

3 რიცხვი — 1.60 ლარი.
4 რიცხვი — 14 ლარი.
5 რიცხვი — 873 ლარი.

6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი“ **42.848** ლარი, გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **0 2 8 9 1 2 6**

ტირაჟის დროს სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:

ერთოთახიანი ბინა — **გიორგი ხაზეიშვილი (თბილისი)**
საფრანგეთის საგზური — **ლევან კოტრიკაძე (თბილისი)**
პრიზი — აუდიო მაგნიტოფონი — **ოთარ გარსევანიძე (თბილისი)**
პრიზი მიკროტალღური ღუმელი — **მაგდა ჯიქია (ქუთაისი)**
პრიზი ვენტილატორი (დისტანც. მართვით) — **ლეილა კინწურაშვილი (ხონი)**
მტვერსასრუტი — **მიხეილ ავეტოვი (თბილისი)**

**ყურადღება!**

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი აცნობებს ლატარია „ტოტო-ლოტო“-ს მოყვარულებს, რომ საზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით, დროებით წყდება „ბედის ბორბალის“ გათამაშება და უქმდება სტუდიაში მოწვევის არსებული წესები.

„ბედის ბორბალის“ განახლების შემდეგ სტუდიაში მოწვეულნი გამოვლინდებიან სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, ლატარიის ბილეთების სარეგისტრაციო ნომრების და ვარიანტების მიხედვით.

ლატარიის „6-42“-დან, თანმხლები თამაშით „სუპერ-7“-ის ტირაჟის გათამაშება გაიმართება ტრადიციულად, ყოველ კვირა დღეს და გადაიცემა საქართველოს ტელევიზიის I არხით.

შემდეგი ტირაჟი შედგება 5 ივლისს.

**„ჯეკ-პოტი“ 42.848** ლარი.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი.**

## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:

**საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;**

**მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;**

**ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;**

**შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;**

**ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;**

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტოტექნიკური ექსპერტი**
3. **საგარეო უწყებათა მომსახურება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები)
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი**
14. **ხელოვნებათმცოდნეობა**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი.**

**საბუთები მიიღება** 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

**საბუთები** — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

უმაღლეს **დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.**

**საბუთები** — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

**შენიშვნა:** ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ **„საქართველოს“** რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ **„საქართველოს“** რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. კლიმატური კურორტი გურიაში; 5. რისამე ღედაზარი; 6. მაქრის ლერწმისაგან დამზადებული მალალალკოჰოლიანი სასმელი; 8. სამეტყველო ბგერის გრაფიკული ნიშანი; 10. ათჯერ ათი; 12. მსხვილი მახრჩობელა გველი; 14. დიდმუხტიანი ჰურვი; 16. პატარა, გამხდარი ადამიანი; 18. ცნობილი ფრანგული საავტომობილო ფირმა; 20. მხარზე გადასაკიდი ჩანთა; 22. წლის მეთორმეტედი კალენდარული პერიოდი; 23. საყანედ გაკაფული ტყე; 25. საბრძოლოდ შებმა; 26. შესასვლელი ციხე-ქალაქის გალავანში; 27. ერთგვარი ჯიშის სირაქლემა; 29. ქართული ანბანის პირველი ასო; 30. ყურით აღქმული ჰაერის ტალღისებური რხევა; 31. დაგრაგნილი მავთულის ერთი მარყუჟი; 33. ყურძნის კანი; 34. აზიური მცენარე, იძლევა ბუნებრივ წითელ საღებავს; 36. ტრანსპორტის მიერ დანიშნულების პუნქტამდე გასავლელი გზა; 37. ძველი ალანების ახლანდელი შთამომავალი; 39. სახელწოდება ერთ-ერთი მუსიკალური ნოტის; 41. მოგრძო რბილსხეულიანი უძვლო ცხოველი; 43. ინდური ტანვარჯიშის მიმდევარი; 44. დაკოდილი ცხენი; 45. ეკლესიიდან განდევნა.

**შვეულად:** 1. ველური კომში; 2. ძროხის ნაშიერი; 3. ბატონი, პატრონი თურქულად; 4. უმცირესი ლუწი რიცხვი; 5. შიდაწვის ძრავით მომუშავე ტრანსპორტი; 7. შესახედაობა, გარეგნობა; 9. ხისძირიანი ფეხსაცმელი; 11. დიდი ზუთხისმაგვარი თევზი; 12. ქრისტეს შობის ქალაქი; 13. მოქმედების სივრცე, გარემოცვა; 15. ულამაზოფიზიკური ნაკლის გამო; 16. დამშვიდობება იტალიურად; 17. ქართული ეპოსის პრომეთე; 19. რამე საჭირო თვისების არქონა; 21. ფონემა; 23. დიდი უქოჩრო თუთიყუში; 24. დიდხანს ნადგომ საჭმელზე გაჩენილი თეთრი ნადები; 28. ახალი თევზის რუსული წვნიანი კერძი; 30. დაბალი და ხშირი ბუსუსები; 32. ოქროს საწმისის გამტაცებელთა ხომალდი; 33. მძიმე გადამდები სნეულება; 35. ბუნებრივად გამოყოფილი წყლის წვეთები; 38. ცხოველის მიწისქვეშა ხვრელი; 39. ჩაწერილი რისამე ჩამონათვალი; 40. საფლობი ტალახი; 41. მჭრელი იარაღით ხეზე ამოკვეთილი ნიშნული; 42. მედეას მამის სატახტო ქალაქი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

თარაზულად: 2. კოკარდა; 7. კვი; 8. ზოლი; 9. რეესტრი; 10. მუნი; 12. ალაო; 15. სამოა; 18. კუპრი; 19. ლექსი; 20. რახტი; 21. აგური; 22. ზლოტი; 23. აბედი; 26. ელია; 29. ჭილი; 31. რექტორი; 32. აქტი; 33. ქილა; 34. აბაზანა.

შვეულად: 1. ზებუ; 2. კირი; 3. კრება; 4. რეტრო; 5. აზია; 6. ელბა; 10. მაკრამე; 11. ნეპტუნი; 13. ლექტორი; 14. ოზირისი; 15. სირია; 16. მეხრე; 17. ალიზი; 24. ბაქია; 25. დროშა; 27. ლექსი; 28. არია; 29. ჭიქა; 30. ლალი.

**ჯუმბერ თავაძეს** - პოეტს, ექსკურსიამძღოლს, გინესის წიგნის საპატიო მოქალაქეს - ვულოცავ დაბადების დღეს.

ციალა ბრეგვაძე.


## გაზეთ „საქართველოს“ კომპიუტერული ცენტრი
## გთავაზობთ

გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, ბუკლეტების დაკაბადონებას. ეტიკეტების (ფერდაყოფა), სარეკლამო პროსპექტების და სხვა პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადებას.

ყველაფერი **იაფად, ხარისხიანად,** მაღალ თანამედროვე დონეზე და **ოპერატიულად.**

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართ. ოთახი 205, 206. ტელ. 93-19-99




ქალაქ თბილისის 147-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პირველი დირექტორი, მასწავლებელთა მასწავლებელი, გულისხმიერი მეგობარი, მრავალი თაობის ჭეშმარიტი მოძღვარი, გზის გამკვალავი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

**ანზორ გრიგოლის ძე ჩაფიძე**

*თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს*

ჩვენს მეგობარს, თანამებრძოლს და თანამოაზრეს, გიზო როგავას ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ მამის, **ალექსანდრე როგავას** გარდაცვალების გამო.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.


## განცხადებები

ვაქირავებ სამოთახიან ბინას (ერთი ოთახი დაკეტილია) ტელეფონით, ავეჯით, ლოჯით, მაცივრით, ტელევიზორით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“. ფასი 250 დოლარი. ტელ: 37-23-78.

იყიდება ავტომანქანა „ოპელ-ომეგა“ ფურგონი, მუქი შვინდისფერი 1989 წლის გამოშვება, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი 6000 დოლარი. ტელ: 29-85-84

ქობულეთში ეზოიანი სახლის II სართულზე შეღავათიან ფასებში ქირავდება ოთახები. ახლოსაა სადგური, ბაზარი, ზღვა. რუსაველის ქ№57. კოდი ტელეტაიპი 888236??67525

მეცნიერებათა კანდიდატი ამზადებს ნებისმიერ მსურველს ინგლისურ ენაში 14 წლის ზევით, ბინაში ან სამსახურში მისვლით. ტელ: 68-95-87.

მეტრო „ნაძალადევთან“ იყიდება სამოთახიანი ბინა მე-5 სართულზე. გარემონტებული, ტელეფონით, ბინის საერთო ფართი 90 კვმ. მის: ცოტნე დადიანის 34. მე-11 კორპუსი, I სადარბაზო, მე-5 სართული, ბ.15. ტელ: 66-75-66.

იყიდება ოთახიანი ბინა ჩეხური პროექტის პრივატიზებული, გარემონტებული ტელეფონით დიდი სამზარეულოთი, ლოჯიით, ორი აივნით ცხრასართულიანი სახლის მერვე სართულზე. მუხიანის მე-4 მ-რ. საწყისი ფასი 1500 დოლარი.
ტელ: 64-29-73.

სასწრაფოდ ვყიდი ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას 6 კვარტალი, მე-18 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა 44. ტელ: 30-81-13. ნანა
ფასი შეთანხმებით.

ვიქირავებ ბინას თბილისის ძველ უბნებში (იტალიურ ეზოებში) 30-40 ლარის ფარგლებში. ბინა უნდა იყოს ცარიელი. დაახლოებით 40 კვმ ფართით, სველი წერტილებით, ტელეფონით. დამირეკეთ: 72-35-66. იკითხეთ ნათია.


**კერძო სახლების მესაკუთრეთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფი გიწვევთ პარასკევს, 3 ივლისს 16 სთ-ზე, პუშკინის №5 (თავისუფლების მოედანი), მეორე სართულზე, სააქტო დარბაზში.**
**ტელ: 36-42-09, 37-20-93, 93-17-10, 99-77-16**


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

**რედაქცია:** ანა ჯულელი (რედ. მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), გია თვალავაძე (პოლიტიკის განყ. რედაქტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), ნუგზარ კოზოლაშვილი (გავრცელების სამსახური), **კორესპონდენტები:** კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია, დათო ავალიანი.
**კორექტორები:** ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444